ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-171
1964

5

მაისი

F-2811

თბილისი — 1964

შინაარსი

1. დებულება განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირში შემავალ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავეებთან უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის ჩატარების წესების შესახებ 3
2. დებულება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშობელთა კომიტეტის მუშაობის შესახებ 11
3. ბრძანება № 317—რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ავტო-სამოდელო სპორტის განვითარების შესახებ 15
4. ბრძანება № 322—მახარაძის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 18
5. ბრძანება № 403—ჩოხატაურის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 26
6. ბრძანება № 404—პატარა ცემის სტაფეო სკოლა-სანატორიუმში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ. 34
7. დებულება სკოლის მხატვრული აღზრდის წრეებისათვის 40
8. ბრძანება № 409—ქ. ჭიათურაში, ახალციხის, თელავის, ლანჩხუთისა და დუშეთის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ 44
9. ბრძანება № 410—ცხაკაიასა და სამტრედიის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 46
10. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა გაზეთ „სახალხო განათლების“ ა/წლის 1 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილის—„გამოცდილების გამდიდრების საუკეთესო საშუალების“ შესახებ 59
11. ბრძანება № 427—ქ. თბილისის სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 61
12. ბრძანება № 429—ქ. თბილისის 1-ლი და მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 64
13. ბრძანება № 430—სკოლა-ინტერნატებში სამეურნეო-ტექნიკური დანადგარების მიღების, დამონტაჟებისა და გამოყენების შესახებ 70
14. ბრძანება № 437—თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 72
15. ბრძანება № 442—XVI რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და XVII კონფერენციისათვის მზადების შესახებ . . . 81

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IV-64 წელი. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6.

ფასი 10 კაპ.

შეკვ. 471. ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხვიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

„შეთანხმებულია“
განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის საქართველოს რესპუბ-
ლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე

დებულება

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირში შემავალ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავეებთან უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის ჩატარების წესების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მუშებსა და თანამშრომლებში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების შესრულებისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდისათვის, აგრეთვე მათ მიერ მოწყობილობის, ინსტრუმენტების, სამარჯვებისა და სამუშაო მასალის შესწავლისა და შრომის უსაფრთხო ხერხების ათვისებისათვის საწარმოს ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოებდეს მომუშავეთა ინსტრუქტირებასა და სწავლებას.

2. ინსტრუქტაჟი და უსაფრთხობის ტექნიკის წესების სწავლება ტარდება ყველა მუშასა და თანამშრომელთან, შემდეგი სახით:

ა) სამუშაოზე მიღების დროს შესავალი ინსტრუქტაჟი;

ბ) ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე;

გ) ყოველდღიურად მიმდინარე ინსტრუქტაჟი;

დ) პერიოდული (განმეორებითი) ინსტრუქტაჟი;

ე) საკურსო სწავლება;

ვ) უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებიხ მასობრივი პროპაგანდა პლაკატებით, ვიტრინებით, ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვით, უსაფრთხობის ტექნიკის საკითხებზე

მაგნიტოფონური და გრამაფონული ჩანაწერების მოსმენის, კინოფილმების, დიაპოზიტივების დემონსტრაციისა, ინფორმაციების გამოშვებისა და სხვა საშუალებებით.

3. ყოველი მუშა და თანამშრომელი სამუშაოზე დაიშვება მხოლოდ შესავალი ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ, ამასთან მუშა ან თანამშრომელი დამოუკიდებელ სამუშაოზე შეიძლება დაშვებულ იქნეს სამუშაო ადგილზე მისი წინასწარი სათანადო მომზადების შემდეგ. ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებულია რადიოაქტიური იზოტოპების დამაიონიზებელი გამოსხივების წყაროების ზესახიფათო დანადგარების (მაღალი წნევის, მაღალი ძაბვის, რენტგენისა და სხვ.) გამოყენებასთან, დაიშვებიან ის პირნი, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური სწავლება და აქვთ სათანადო მოწმობა.

II. შესავალი ინსტრუქტაჟი

4. შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარებისას ახლად მიღებულ მუშაკს ეძლევა ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს მას გაერკვეს სამუშაოს ვითარებაში.

5. შესავალი ინსტრუქტაჟით მუშაკი ეცნობა:

ა) შინაგანაწესის წესებს;

ბ) შრომის დაცვის ზოგად კანონმდებლობებს, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს;

გ) სახიფათო მომენტებს, რომლებიც შეიძლება შეხვდეს მუშაობის დროს და სიფრთხილის შესაბამის ღონისძიებებს;

დ) სახანძრო უშიშროების წესებს;

ე) შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დარგში მუშაობის ორგანიზაციას.

6. შესავალი ინსტრუქტაჟი—ლექცია საუბრის სახით ტარდება. ინსტრუქტაჟი მუშაობის დროს ტარდება იმ პირის მიერ, რომელიც ვალდებულია უსაფრთხობის ტექნიკის დაცვაზე (ინჟინერი უსაფრთხობის ტექნიკის დარგში, ლაბორატორიის და სახელოსნოს გამგე, საექსპლოატაციო ჯგუფის ხელმძღვანელი და სხვ.).

7. შესავალი ინსტრუქტაჟი შემდეგი ტიპიური პროგრამით ტარდება:

— ინსტრუქტაჟის დანიშნულება;

— შრომის დაცვა და უსაფრთხობის ტექნიკა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში;

— საბჭოთა შრომითი კანონმდებლობა სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეჟიმის შესახებ. შრომით შინაგანაწესის წესები;

— უსაფრთხობის ძირითადი წესები და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნები მუშაკის ტერიტორიაზე და სამუშაო ადგილზე (ლაბორატორიაში, საამქროში, ექსპლოატაციაში, საწყობში და ა. შ.) ყოფნისას;

— სამუშაო ადგილის რაციონალური ორგანიზაციის საფუძვლები (სისუფთავე, წესრიგი, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, სამუშაო მასალის, მზა პროდუქციისა და ა. შ. განლაგება);

— საერთო წესები მანქანების, დაზგების, დანადგარების, მოწყობილობათა მომსახურებისა (სიწესივრე, გაგოზვა, გაწმენდა და ა. შ.) და მოთხოვნები ინსტრუმენტისა და მისი შენახვისადმი;

— ელექტროუსაფრთხობის ზოგადი წესები;

— ინდივიდუალური დაცვის საშუალებანი (სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, სათვალეები, რასპირატორი, აირწინაღი და სხვ.);

— მათი გაცემის, ხმარებისა და შენახვის წესი;

— პირადი ჰიგიენის საფუძვლები. სასმელი რეჟიმი;

— უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვაზე მომუშავე პიროვნების ვალდებულებანი (მოვალეობანი);

— შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკისა და სარმოო სანიტარიის სამუშაოთა ორგანიზაცია. ადმინისტრაციის ვალდებულებანი სამუშაოს უსაფრთხობის, უვნებლობის და საწარმოო ინსტრუქტაჟის გატარების უზრუნველსაყოფად;

— დამოუკიდებელ სამუშაოზე დაშვების წესი;

— უბედურ შემთხვევათა აღრიცხვისა და გამოძიების წესი, მათი გარჩევა;

— პირველი დახმარება უბედური შემთხვევების დროს;

— ტექნიკური და სანიტარული ინსპექცია, საზოგადოებრივი ინსპექტორები შრომის დაცვის დარგში, მათი უფლება და მოვალეობანი.

8. შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარებისას აუცილებელია ფართოდ გამოიყენოთ თვალსაჩინოებანი: პლაკატები, მოდელები, წესიერი და უწესივრო იარაღისა და მოწყობილობათა ნიმუშები, დამცავი სამარჯვები და სხვა ხელსაწყოები, აგრეთვე მოცემულ დაწესებულებებსა და წარმოებაში მომხდარი დამახასიათებელ უბედურ შემთხვევათა გარჩევა.

III. ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე

9. ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე უნდა გაიაროს ყველა ახლად მიღებულმა მუშამ, მეცნიერ-მუშაკმა, ლაბორანტმა, ასის-

ტენტმა, პრეპარატორმა, მომსახურე პერსონალმა, მათ შორის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანილმა პირმა.

ტექნოლოგიური პროცესის შეცვლის, მოწყობილობის გამოცვლის ან მოდერნირების დროს, ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე კვლავ უნდა ჩატარდეს ყველა იმ თანამშრომლისათვის, რომელიც დაკავშირებულია ამ სამუშაოებთან.

10. სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟი ტარდება ლაბორატორიის გამგის, ან მისი მოადგილის, სახელოსნოს გამგის, ცალკეულ დანადგართა, აგრეგატთა, უბნების ხელმძღვანელების მიერ, მანამ მუშა ან თანამშრომელი მუშაობას შეუდგება.

11. ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე ავსებს შესავალ ინსტრუქტაჟს და მიზნად ისახავს გააცნოს მუშებსა და მოსამსახურეებს მოწყობილობა, ჯანმრთელობისათვის საშიში და მავნე ადგილები, აჩვენოს უსაფრთხო და უვნებელი მუშაობის ხერხები.

12. სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის ჩატარებისას მუშა-მოსამსახურეებს უნდა გაეცნოს:

ა) ტექნოლოგიური პროცესი;

ბ) ვალდებულებანი ადგილზე ან მოცემულ სპეციალობაში;

გ) სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაციისა და მოვლის მოთხოვნები;

დ) მოწყობილობის, აპარატურის, იარაღების აგებულება და მომსახურება, სამარჯვები, საცავები, მათი დანიშნულება და გამოყენების წესები;

ე) რადიოაქტიურ, ქიმიურ და მომწამვლელ, ფეთქებადსაფრთხო, ადვილად აალებად ნივთიერებებთან უსაფრთხო მუშაობის წესები;

ვ) მოცემულ სამუშაო ადგილზე ელექტრომოწყობილობის, ელექტროიარაღების უსაფრთხო მოპყრობის წესები;

ზ) დამცავი სამარჯვების გამოყენების წესები; მუშა და სპეცტანსაცმელის ტარებისა და ხმარების წესები;

თ) სამუშაოს შესრულების უსაფრთხო მეთოდები, ყველა საეიფათო მომენტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მუშაობის პროცესში, აგრეთვე ქცევის წესები შექმნილი საფრთხის შემთხვევაში.

13. ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე ტარდება ინდივიდუალურად, ყოველ მუშასა და თანამშრომელთან მუშაობის სწორი ხერხების ჩვენებით.

14. სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის ჩამტარებელმა ინსტრუქტირებულს უნდა გააცნოს უსაფრთხობის ტექნიკის ინსტრუქცია.

15. ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდეგ ჩამტარებელი ამოწმებს უსაფრთხობის ტექნიკის ინსტრუქციისა და ჩატარებული ინსტრუქტაჟის შეთვისების ხარისხს, მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა ნებართვა დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

მომუშავეს ინსტრუქცია ხელწერილის ქვეშ ეძლევა.

16. ადმინისტრაცია ვალდებულია სისტემატური კონტროლი დააწესოს ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე; აძლევს მეთოდურ მითითებას იმ პირებს, რომლებიც სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟს ატარებენ.

IV. ყოველდღიური (მიმდინარე) ინსტრუქტაჟი

17. ყოველდღიური ინსტრუქტაჟი ტარდება, როგორც წესი ლაბორატორიის გამგის ან მისი მოადგილის, უბნის, ჯგუფის, დანადგარის ხელმძღვანელის, საამქროს ოსტატის, ბრიგადირის და სხვ. მიერ:

ა) მუშაობის დაწყების წინ;

ბ) ახალი სამუშაოს მიღებისას;

გ) სამუშაოს შესრულების პროცესში;

18. ყოველდღიური ინსტრუქტაჟი მიზნად ისახავს გააცნოს მუშას ან მოსამსახურეს დავალებული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების ხერხები.

19. ყოველდღიური ინსტრუქტაჟი უნდა იყოს მოკლე, შეიცავდეს მკაფიო კონკრეტულ მითითებებს და აუცილებელ შემთხვევაში, თან უნდა ახლდეს სწორი და უსაფრთხო მუშაობის ხერხების ჩვენება.

20. მუშებს და თანამშრომლებს, რომლებიც არ ასრულებენ უსაფრთხობის ტექნიკის ინსტრუქციას, უნდა ჩაუტარდეს განმეორებითი ინსტრუქტაჟი.

მუშაკის მიერ უსაფრთხობის ტექნიკის ინსტრუქციის სისტემატური შეუსრულებლობა განიხილება, როგორც შინაგანაწესის წესების დარღვევა, რისთვისაც დამნაშავეს უნდა დაედოს დისციპლინარული სასჯელი.

21. ახლად მიღებული ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილი მუშები და თანამშრომლები უსაფრთხობის ტექნიკის ინსტრუქციის შესრულებისას, უნდა იყვნენ უბნების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ.

V. პერიოდული (განმეორებითი) ინსტრუქტაჟი

22. პერიოდული (განმეორებითი) ინსტრუქტაჟის მიზანია, რომ მომუშავემ კარგად შეითვისოს მუშაობის უსაფრთხოდ და უვნებლად წარმოების პირველდაწყებითი ცოდნა და წესები. აგრეთვე შეეძლოს ამ წესების შეთვისების ხარისხის შემოწმებაც (პირადი გამოკითხვის გზით).

23. პერიოდული ინსტრუქტაჟი, სამუშაო ადგილზე ყოველდღიური ინსტრუქტაჟისაგან განსხვავებით, ტარდება ერთნაირი პროფესიის მქონე მუშების ჯგუფიან და თანამშრომლებთან.

24. დირექტორი ან მისი მოადგილე სამეცნიერო ნაწილში პირადად ადგენს პერიოდული ინსტრუქტაჟის ვადებს, ამასთან ითვალისწინებს იმას, რომ ყოველმა მუშა-მოსამსახურემ განმეორებით ინსტრუქტაჟი უნდა გაიაროს არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში.

25. იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება უსაფრთხო ტექნიკის ინსტრუქტაჟის დარღვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა ან მომხდარი უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, ადმინისტრაცია ნიშნავს რიგგარეშე განმეორებითს ინსტრუქტაჟს, სამუშაო ადგილზე. ყოველი მუშაკისათვის, რომელსაც უბედური შემთხვევა მოუხდა, ინსტრუქტაჟი ტარდება შრომის უნარის აღდგენის შემდეგ, სამუშაოს შედგომამდე.

რიგგარეშე, განმეორებითი ინსტრუქტაჟის ჩატარება შეიძლება მიენდოს პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უსაფრთხობის ტექნიკის წესების დაცვისათვის ან პროფსაბჭოს ტექნიკურ ინსტრუქტორს.

VI. საკურსო სწავლება

26. მუშები და თანამშრომლები, რომელთაც დაკისრებული აქვთ განსაკუთრებულ საფრთხო უბნებზე მუშაობა, სამუშაოზე დაშვებამდე ვალდებულნი არიან სპეციალური საკურსო სწავლება გაიარონ უსაფრთხობის ტექნიკაში.

27. საკურსო სწავლება ტარდება ტექმინიმუმის სწავლების წესით. ცალკეულ მუშაკთათვის შეიძლება კურსების მოწყობა სპეციალურად შემუშავებული პროგრამით.

28. საკურსო სწავლებისათვის უსაფრთხობის ტექნიკაში ჯგუფები უნდა ჩამოყალიბდეს პროფესიული ნიშნის მიხედვით.

29. კურსებზე სწავლება წარმოებს სამუშაო უბნების სპეციფიკური პირობების შესაბამისად შემუშავებული პროგრამით. პროგრამას ამტკიცებს დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

30. ის პირნი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უსაფრთხობის ტექნიკაზე ინსტიტუტში, სკოლასა და წარმოებაში, ვალდებულნი არიან ამ საქმეს გაუწიონ მეთოდური დახმარება საკურსო სწავლების ორგანიზაციის დროს.

31. უსაფრთხობის ტექნიკის კურსის შეთვისების შემოწმებას გამოკითხვის გზით აწარმოებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ლაბორატორიის გამგე ან კათედრის გამგე, ინჟინერი უსაფრთხობის ტექნიკის დარგში და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელი.

გამოკითხვის შედეგები შეიტანება ოქმში, რომლის საფუძველზე გაიცემა მოწმობა სწავლების გავლის შესახებ.

VII. ინსტრუქტაჟის გაფორმება

32. ინსტრუქტაჟის შედეგები ფორმდება ჟურნალებში.

შესავალი ინსტრუქტაჟის საალრიცხვო ჟურნალის ფორმა

№№	გვარი, სახელი, მამის სახელი	ინსტრუქტაჟის ჩატარების თარიღი	ინსტრუქტაჟის მიმღების ხელმოწერა	შენიშვნა

პერიოდული და სამუშაო ადგილზე ჩატარებული ინსტრუქტაჟის საალრიცხვო ჟურნალის ფორმა

№№	ინსტრ. ჩატ. თარიღი	ინსტრ. ჩატარა (გ. ს. მ. ს. თანამდებობა)	ინსტრ. მოისმინა (გ. ს. მ. ს. თანამდებობა)	ინსტ. ჩამტარებლის ხელის მოწერა	ინსტრ. მოსმენის ხელის მოწერა	შენიშვნა

33. ჟურნალის გვერდები უნდა იყოს დანომრილი და ბეჭდით შემოწმებული.

34. თანამშრომლის ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაყვანისას, იმავე ლაბორატორიის, საამქროს ფარგლებში ან ტექნოლოგიური პროცესის შეცვლისას სამუშაო ადგილზე ახლად ჩატარებული ინსტრუქტაჟი ფორმდება ჩვეულებრივი წესით.

35. მუშაკებთან ზეპირი ინსტრუქტაჟის ჩატარებისა და სწავლების გარდა, ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს და მუშაკებს ხელზე, აგრეთვე გამოჰკიდოს სამუშაო ადგილებში უსაფრთხო ტექნიკის ინსტრუქცია.

36. ინსტრუქტაჟის არადროულად და უხარისხოდ ჩატარებისათვის, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური მეთვალყურეობის დაუწესებლობისათვის, სამუშაოთა ხელმძღვანელები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუშაკები, რომლებიც მრავალგზის არღვევენ უსაფრთხო ტექნიკის წესებს, პასუხს აგებენ შინაგანაწესით დადგენილი წესების შესაბამისად.

37. უსაფრთხობის ტექნიკის ხაზით ინსტრუქტაჟის დაყენების ხელმძღვანელობა ეკისრებათ კათედრების, ლაბორატორიების გამგეებს, საამქროების უფროსებს, ხოლო ორგანიზაციასა და დაწესებულებაში მთლიანად დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, მთავარ ინჟინერს, აგრეთვე სკოლის დირექტორს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

(თ. ლაშქარაშვილი)

28 მარტი 1964 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სკოლამდელი ალზრდის დაწესებულებების მშობელთა კომიტეტის მუშაობის შესახებ

I. მშობელთა კომიტეტის მუშაობის ამოცანები და შინაარსი

1. მშობელთა კომიტეტი იქმნება საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) მშობლებთან მუდმივი და სისტემატური კავშირის უზრუნველსაყოფად. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ყოველმხრივი განვითარება შეიძლება წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი მხოლოდ მშობლებსა და პედაგოგებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებით.

2. მშობელთა კომიტეტი უნდა დაეხმაროს საბავშვო ბაღს (ბაგა-ბაღს) მუშაობაში და მშობლების მიერ სკოლამდელი დაწესებულების მიმართ წაყენებული ყოველგვარი კანონიერი მოთხოვნის შესრულებაში.

3. მშობელთა კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მშობელთა საერთო კრების მიერ. რეკომენდებულია თითოეული საალმზრდელო ჯგუფისაგან მშობელთა კომიტეტში არჩეულ იქნეს არანაკლებ ერთი წარმომადგენლისა. ერთ და ორკომპლექტიან საბავშვო ბაღში მშობელთა კომიტეტში აირჩევა არანაკლებ სამი წევრისა.

4. მშობელთა კომიტეტის შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს.

5. მშობელთა კომიტეტის თითოეულ წევრს თავისი გარკვეული ვალდებულებები აქვს დაკისრებული. კომიტეტის დასახმა-

რებლად მშობელთა აქტივის შემადგენლობიდან იქმნება მუდმივი ან დროებითი კომისია. პედაგოგიური პროპაგანდისა და სამეურნეო საკითხებზე მუშაობის მუდმივი კომისია, ხოლო საზაფხულო გამაჯანსაღებელ საკითხებზე კი – დროებითი კომისია.

კომისიის შემადგენლობას, მისი მუშაობის შინაარსა, სახეებსა და რაოდენობას განსაზღვრას მშობელთა კომიტეტი საბავშვო ბაღის პირობების შესაბამისად.

მშობელთა კომიტეტი, მუდმივი და დროებითი კომისიების საშუალებით ეხმარება საბავშვო ბაღს (ბაგა-ბაღს) სახელდობრ:

ა) მოსახლეობისა და მშობელთა შორის პედაგოგიური პროპაგანდის ორგანიზაციაში, მშობელთა საერთო კრებებზე და კონფერენციებზე ოჯახური და საზოგადოებრივი აღზრდის გამოცდილების გაზიარების მიზნით მოხსენებებისა და ლექციების მოწყობაში;

ბ) აღსაზრდელთა ოჯახებთან პედაგოგების კავშირის დამყარებაში;

გ) ბავშვთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ორგანიზაციაში;

დ) საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) სამეურნეო და მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, ორგანიზაციას უკეთებს მშობელთა მონაწილეობას საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) შენობის რემონტის გაკეთებაში, სამეურნეო ინვენტარის, თვალსაჩინო მასალებისა და ხელსაწყოების შეძენაში, სათბობი მასალის მომარაგება-მოტანაში, მიწის ნაკვეთის გამწვანებასა და კეთილმოწყობის საქმეში.

6. მშობელთა კომიტეტი თავის მუშაობას აგებს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) გეგმების შესაბამისად და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. სამუშაო გეგმა მტკიცდება მშობელთა კომიტეტის სხდომაზე. მშობელთა კომიტეტის თვიური სამუშაო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს წლიური გეგმიდან.

7. მშობელთა კომიტეტის სხდომები იწვევა ორ თვეში ერთხელ.

8. მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებები მიიღება ხმის უმრავლესობით.

9. მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებები შეთანხმებული უნდა იქნეს საბაშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) გამგესთან.

მშობელთა კომიტეტის წევრები გარდა ამისა ასრულებენ ცალკეულ დავალებებს კომიტეტის თავმჯდომარისა და საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) გამგის დავალებით.

მშობელთა კომიტეტის თითოეულ წევრს უფლება აქვს თავისი ინიციატივით, ან მშობელთა მოთხოვნით, მშობელთა კომიტეტის სხდომაზე განსახილველად შეიტანოს საკითხები, რაც დაკავშირე-

ბული იქნება სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. იმ შემთხვევაში, როდესაც ბაღის (ბაგა-ბაღი) გამგე ეთანხმება მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებას, საკითხი განიხილება და გადაწყდება რაიონული, ქალაქის განათლების განყოფილების მიერ.

11. სკოლამდელ დაწესებულებათა ინსპექტირების დროს ინსპექტორები ამოწმებენ მშობელთა კომიტეტის მუშაობას და დახმარებას უწევენ მას მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

II. მშობელთა კომიტეტის უფლებები

12. მშობელთა კომიტეტს უფლება აქვს:

ა) შეიტანოს წინადადებანი საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) გამგესთან პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ. სკოლამდელი დაწესებულების გამგე განიხილავს მშობელთა კომიტეტის წინადადებებს და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ საქმის კურსში აყენებს მშობელთა კომიტეტს;

ბ) სისტემატურად გააკონტროლოს ბავშვის კვების ხარისხი;

გ) საბავშვო ბაღისათვის (ბაგა-ბაღი) დახმარების გაწევის მიზნით იქონიოს კავშირი საბჭოთა, პროფკავშირულ, საზოგადოებრივ საშეფო ორგანიზაციებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობის გამგეობასთან.

დ) მოისმინოს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) გამგის მოხსენებები, როგორც საბავშვო ბაღის მუშაობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ, აგრეთვე მშობელთათვის საინტერესო საკითხებზე.

ე) გადაწყიტოს ისეთი საკითხები, რომლებიც ბავშვთა ოჯახურ აღზრდასთან არის დაკავშირებული. გამოაქვეყნოს წერილები პრესაში იმ მშობლების შესახებ, რომლებიც გამოირჩევიან ბავშვთა კარგი აღზრდით. გასწიოს პროპაგანდა ოჯახური აღზრდის მოწინავე გამოცდილების შესახებ.

ვ) იმ შემთხვევაში თუ მშობლები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ბავშვთა აღზრდის საქმეში, მშობელთა კომიტეტი ზრუნავს ოჯახში ბავშვთა ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად, ცალკეულ შემთხვევაში ასეთ მშობლებზე საზოგადოებრივი ზემოქმედების მოსახდენად, საკითხს აყენებს იმ დაწესებულების წინაშე, სადაც მშობელი მუშაობს.

ზ) მონაწილეობას ღებულობს პედაგოგიურ-საწარმოო თათბირებში, სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე მოწყობილ რაიონულ და საქალაქო კონფერენციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ანგარიშგება და საქმის წარმოება

14. მშობელთა კომიტეტის ანგარიშგება ხდება მშობელთა საერთო კრებაზე (წელიწადში ერთხელ). კომიტეტი საერთო კრებას მოახსენებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

15. მშობელთა კომიტეტი აირჩევა სექტემბერში, საერთო კრებაზე ერთი წლით, ხმის უმრავლესობით.

16. მშობელთა კომიტეტის წევრები, რომელნიც აქტიურად არ მონაწილეობენ მუშაობაში, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით, მშობელთა საერთო კრების გადაწყვეტილებით გამოყვანილ იქნებიან კომიტეტის შემადგენლობიდან მშობელთა კომიტეტის გადარჩევნებამდე, ხოლო მათ მაგივრად არჩეული იქნებიან სხვები.

17. მშობელთა კომიტეტის წევრთა სამუშაო გეგმები და ანგარიშები, მორიგეობის ცხრილი, თათბირების ოქმები და სხვა დოკუმენტაცია ინახება სკოლამდელ დაწესებულებაში და აქტით გადაბარდება ახალი კომიტეტის შემადგენლობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 16 მარტის ბრძანება № 317

რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ავტოსამოდელო სპორტის განვითარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ავტოსამოდელო სპორტის განვითარებას დღემდე არ ექცევა ყურადღება, რის შედეგად რესპუბლიკის სკოლები სპორტის ამ სახეობაში საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობას არ ღებულობენ. ავტოსამოდელო სპორტში სისტემატური მეცადინეობა აფართოებს მოსწავლის ტექნიკური ცოდნის ჰორიზონტს, მოდელების დამზადების პროცესში მოსწავლეები იმუშავებენ ლითონზე, ხეზე, პლასტმასაზე მუშაობის ჩვევებს, სწავლობენ საწვავის ნაერთებს, ეუფლებიან სხვადასხვა დაზგაზე მუშაობას.

სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში ავტოსამოდელო საქმის განვითარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) შექმნან ავტოსამოდელო სპორტული წრეები, ჩამოაყალიბონ გუნდები და უზრუნველყონ ისინი საჭირო რაოდენობის სასწავლო ლიტერატურით, იარაღებით, მოწყობილობებითა და მასალებით;

ბ) სადაც ეს შესაძლებელია 1964 წლის 20 მაისამდე სკოლებთან მოაწყონ მარტივი ტიპის მოტოდროშები და სამოდელო კაბინეტ-ლაბორატორიები;

გ) ფაკულტატური მეცადინეობა მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში მჭიდროდ დაუკავშირონ ავტოსამოდელო საქმის შესწავლას.

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) ჩაატაროს ავტოსამოდელო წრის ხელმძღვანელთა 12 დღიანი რესპუბლიკური სემინარი, რომლის სასწავლო გეგმაში გაითვა-

ლისწინოს სკოლაში ავტოსამოდელო სპორტის განვითარების კონ-
კრეტული საკითხები;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) სადგურთან შექმნას ავტოსამოდელო წრეები;

გ) შეადგინოს ავტოსამოდელო წრეების სამუშაო პროგრა-
მები, მოდელთა ნახაზები, აღწერილობები და აღნიშნული სახელმ-
ძღვანელო მასალებით უზრუნველყოს სკოლებსა და სკოლის გარეშე
დაწესებულებებთან არსებული ავტოსამოდელო წრეები;

დ) სადგურის ტერიტორიაზე მოაწყოს მცირე ზომის ავტო-
დრომი.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებთა სამმართველომ
(ამხ. ს. არველაძე) ამ ღონისძიებების გასატარებლად დამა-
ტებით გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს
1964 წლის განმავლობაში 300 კგ ქაღალდი.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების)
განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სათანადო ყურადღება მიაქციონ სკოლებსა და სკოლა-
ინტერნატებში ავტოსამოდელო სპორტის განვითარებას, რისთვი-
საც იმ სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში, სადაც IX—X—XI კლ.
მოსწავლეები ეუფლებიან ავტომძღოლის, ავტოშემკეთებლის და ლი-
თონის ცივად დამუშავების პროფესიებს (ხარატი, ზეინკალი) ფარ-
თოდ დანერგონ და განავითარონ ავტომოდელიზმი;

ბ) მითითება მისცენ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, პიონერთა
სასახლეებსა და სახლებს, რათა ტექნიკური წრეების საქმიანობა
წარმართული იქნეს ავტოსამოდელო სპორტის ჯეროვნად განვი-
თარებისაკენ; ამასთანავე ჩამოაყალიბონ ავტოსამოდელო წრეები
და გუნდები;

გ) ავტოსამოდელო სპორტის განვითარება და მუშაობა ამ
მიმართულებით აწარმოონ „სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავ-
შირო III სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ“ საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 27 ნოემბრის № 1061
ბრძანების შესაბამისად;

დ) დოსაააფის ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად შეიმუშა-
ონ ერთობლივი ღონისძიებანი სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში,
ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, პიონერთა სახლებსა და სასახლე-
ებში ავტოსამოდელო სპორტის განვითარების შესახებ;

ე) აღნიშნული ბრძანება განიხილონ სკოლებისა და სკოლა-
ინტერნატების, სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების დირექ-

ტორებისა და დოსააფის ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეთა გაერთიანებულ თათბირებზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 25 აპრილისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

К-2811

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 17 მარტის ბრძანება № 322

მახარაძის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ მახარაძის რაიონის სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. რაიონის სკოლებმა 1963/1964 სასწავლო წელს შეასრულეს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. სერიოზული მუშაობა ტარდება სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, ამ საქმეში ფართოდაა ჩაბმული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგალითად, ნატანების კოლმეურნეობამ ააგო საშუალო სკოლის შენობა, ხოლო ვაკიჯვრის კოლმეურნეობამ სკოლას მიუშენა 8 საკლასო ოთახი და სხვ. ამ რაიონის რიგ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად ფლობს საგანს და ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. ამ მხრივ გამოირჩევიან: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ა. თალაკვაძე, ზ. კალანდარიშვილი (მახარაძის I-ლი საშუალო სკოლა), ლ. ნოსოვი (მახარაძის II საშუალო სკოლა), ნ. გიორგაძე (სოფ. მახარაძის 8 წლიანი სკოლა), ფ. ბოლქვაძე (მახარაძის III საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებლები: ე. აბაშმაძე (მახარაძის I-ლი საშუალო სკოლა), ი. რამინაშვილი (მახარაძის II საშუალო სკოლა), მ. ჩხარტიშვილი (მახარაძის III საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებელი მ. მდინარაძე (მახარაძის III საშუალო სკოლა); ქიმიის მასწავლებლები: ნ. ფერაძე, ნ. დოლიძე (I-ლი საშუალო სკოლა), გ. ლომინაძე (ცხემლისხიდის საშუალო სკოლა), ნ. დარჩია (სოფ. მახარაძის რვაწლიანი სკოლა); გერმანული ენის მასწავლებლები: ლ. არობელიძე, ლ. მჟავია და ლ. ფუტურიძე (მახარაძის II და III საშუალო სკოლები); საწარმოო სწავლების მასწავლებლები: ნ. ჯაყელი (მახარაძის II საშუალო სკოლა), სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში), გ. სურგულაძე, გ. კაპანაძე, ნ. გირკელიძე, ს. ზაქარიაძე (მახარაძის II საშუალო სკოლა), ი. ინგოროყვა,

ა. გოგიბერიძე, გ. ბერიძე, ლ. ხუბულავა (მახარაძის III საშუალო სკოლა), ა. გორგოშიძე (მახარაძის I-ლი საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა შემოწმებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს მახარაძის I-ლი (მასწავლებლები დ. კვაჭანტირაძე, ც. გუჯაბიძე), II (მასწავლებლები შ. დოლიძე, ნ. ხელაძე) საშუალო და დვაბზუს (მასწავლებლები ლ. ბასილაშვილი, თ. ინწკირველი) რვაწლიან სკოლებში. დაბალია მოსწავლეთა მეტყველებისა და წერის კულტურა. ნაწარმოების ანალიზის დროს ნაკლებად იყენებენ ტექსტიდან შესაფერის მხატვრულ ადგილებს. ქართული ენის გრამატიკა ისწავლება ცოცხალი მეტყველებისა და ლიტერატურული ტექსტისაგან მოწყვეტილად. მასწავლებლები მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ, არ ასწორებენ გულდასმით და შეცდომები რჩებათ შეუმჩნეველი. ასე, მაგალითად, მახარაძის I საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი დ. კვაჭანტირაძე) 30 მოსწავლიდან საკონტროლო წერით ნამუშევარში არადამაკმყოფილებელი შეფასება დაიმსახურა 25 მოსწავლემ. დასახელებული მასწავლებელი ზოგიერთი მოსწავლის წერით ნამუშევარს გასწორების შემდეგ არ აფასებს, და ნიშანი „2“ რომ ეკუთვნის, მეოთხედის ბოლოს მაინც დამაკმაყოფილებელ ნიშანს უწერს. მახარაძის II საშუალო სკოლის VII კლასის (მასწავლებელი ნ. ხელაძე) მოსწავლის შ. მ-ის საკონტროლო წერითი ნამუშევარი მასწავლებელს შეუფასებია ნიშან „5“-ზე, მაშინ, როდესაც შეუნიშნავი დარჩენია 7-ზე მეტი შეცდომა. ამავე სკოლის X კლასის (მასწავლებელი შ. დოლიძე) მოსწავლის მ. ა-ძის წერითი ნამუშევარი მასწავლებელს ნიშან „4“-ზე შეუფასებია, შეუნიშნავს მხოლოდ 3 შეცდომა და შეუნიშნავი დარჩენია 13-ზე მეტი შეცდომა. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ცხემლისხიდის (მასწავლებლები ნ. დოლიძე, ლ. კილაძე) საშუალო და დვაბზუს (მასწავლებელი ნ. ხომერიკი) რვაწლიან სკოლებში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება მახარაძის II (მასწავლებელი მ. მემარნიშვილი), ცხემლისხიდის (მასწავლებლები ლ. გორგაძე და თ. თამამაიშვილი) საშუალო სკოლის IX—X კლასებსა და სოფ. მახარაძის რვაწლიანი სკოლის VI კლასში. მახარაძის II საშუალო სკოლის IX კლასებში ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები არ ისწავლება პროგრამის მიხედვით. ამ სკოლის IX კლასებში ალგებრისა და ელემენტარული

ფუნქციების პარალელურად ტრიგონომეტრია ცალკე საგნად ისწავლება, მაშინ, როდესაც მისი ცალკე სწავლება გეგმით არ არის გათვალისწინებული. ცხემლისხიდის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან კვადრატული განტოლების გრაფიკული ამოხსნა. დაბალია ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე ტრიგონომეტრიაში, მათ ვერ შესძლეს მარტივი ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნა და კუთხის გრადუსული ზომიდან რადიანულ ზომაზე გადაყვანა. სოფ. მახარაძის რვაწლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან პროცენტები.

დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება მახარაძის II, I საშუალო და სოფ. მახარაძის რვაწლიან სკოლებში. მახარაძის II საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი და სკოლის დირექტორი გ. კალანდარიშვილი) სუსტად იციან კულონის კანონი, ელექტრული ველის დაძაბულობა, საზომი ერთეულები და ელექტროსტატიკის სხვა საკითხები. ამ სკოლის VII კლასის (მასწავლებელი შ. სარიშვილი) მოსწავლეებმა ვერ შესძლეს ფიზიკური ცნებების სწორად განმარტება და ზერელე ცოდნა გამოამჟღავნეს საზომ ერთეულებზე.

მახარაძის I-ლ საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ქ. ნაფეტვარიძე) ფიზიკის გაკვეთილები მოუმზადებლად ტარდება, მასწავლებელმა VI კლასში ახალი მასალის ახსნა 7 წუთში დაამთავრა. სოფ. მახარაძის რვაწლიანი სკოლის (მასწავლებელი ო. სირაძე) VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ელექტრული წრედის მარტივი სქემების დახაზვა, გამზომი ხელსაწყოების წრედში ჩართვა და მათი დანაყოფის მიხედვით ფასის გაანგარიშება.

გასულ სასწავლო წელს მახარაძის II და ცხემლისხიდის საშუალო სკოლების IX კლასებში ადგილი ჰქონდა პროგრამის შეუსრულებლობას, რის გამოც წელს ამ კლასებში ფიზიკა ნაჩქარევად ისწავლება. მახარაძის II საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტი გამოყენებულია საკლასო ოთახად. შესწავლილი სკოლების ფიზიკის კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ ყველა სახის ცდებსა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას. სწავლების დროს არ წარმოებს კინოაპარატების, ფილმოსკოპებისა და სხვა სახის საპროექციო დანადგარების გამოყენება.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება. მახარაძის II საშუალო სკოლაში ქიმიის კლასკაბინეტი მოუწყობელია, ხელსაწყო-იარაღები მოუვლელია, პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების უმეტესი

ნაწილი არ ტარდება. არ აქვთ სადემონსტრაციო ცდების აღრიცხვა, საგნის სწავლება უმეტესად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. ამ სკოლის VIII და X კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნ. ხავთასი) გავლილი საკითხების არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იცოდნენ მჟაური ჟანგეულები და მათი თვისებები, მარილების მიღება, რეაქციის ტოლობების წერა. მასწავლებელმა ახალი მასალა „ნახშირბადის ქიმიური თვისებები" ახსნა სადემონსტრაციო ცდის გარეშე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ სკოლის X კლასში.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე გერმანულ ენაში მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის XI კლასში (ძირითადი მასწავლებელი დ. ცხომელიძე, შემცვლელი—ე. წიტაიშვილი). მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული კითხვის ტექნიკა და არ შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებელი თარგმნა. შესწავლილ არცერთ სკოლაში არ არის გაშლილი კლასგარეშე მუშაობა.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საწარმოო და შრომითი სწავლების დარგში. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავლება მახარაძის II (საზეინკლო) და ცხემლისხიდის (საზეინკლო-სადურგლო) საშუალო სკოლებში (მასწავლებლები დ. ჭელიძე, შ. სიგრაძე). მახარაძის II საშუალო სკოლის V—VIII კლასების მოსწავლეები არ იცნობენ უსაფრთხობისა და ხელსაწყო-იარაღების ხმარების წესებს. ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში საკმაო რაოდენობით არა აქვთ სადურგლო და საზეინკლო დაზგები, ჩარხები და სხვა ხელსაწყო იარაღები. მახარაძის II და III საშუალო სკოლებს არ გააჩნიათ სასწავლო საცდელი მიწის ნაკვეთი. ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში IX კლასისათვის საწარმოო სწავლების პროფილი (ელექტრომონტიორი) არასწორადაა შერჩეული, ვინაიდან ამისათვის საჭირო ბაზა სკოლას არ გააჩნია. მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ჩატარდა გაკვეთილი მახარაძის I-ლ საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი შ. სარიშვილი) მანქანათმცოდნეობისა და სამკერვალო საქმის თეორიაში. ამ სკოლის შრომითი სწავლების სახელოსნოში (გამგე ლ. ჭანტურია, მასწავლებელი ლ. ჯინჭარაძე) არ არის შექმნილი სათანადო პირობები საწარმოო სწავლებისათვის. ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ცხემლისხიდის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ნ. ჟღენტი) ზოგადი მანქანათმცოდნეობა და X კლასში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობა.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების კონტროლი და ხელმ-

ძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. მახარაძის II საშუალო სკოლის დირექტორი გ. კალანდარიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე ს. გოგუაძე იშვიათად ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე. დირექტორის მიერ შემოწმებული გაკვეთილების ანალიზი უწიგნურია, ზერელე და არაფრის მთქმელი, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგეს არ აღმოაჩნდა გაკვეთილებზე დასწრების ანალიზები. არადამაკმაყოფილებელია ამ სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. რეგულარულად არ იწვევა პედსაბჭოს სხდომები, ოქმებს დირექტორი, მდივანი და სხვა წევრები ხელს არ აწერენ. შესწავლილ ზოგიერთ სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ იხილება ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა, მეოთხედების შედეგების ანალიზები არასრულყოფილია და დადგენილებები ზოგადი.

გაკვეთილის ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს. საგნების სიძნელეების მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული—ზოგიერთი დღე გადატვირთულია მათემატიკური დისციპლინებით, ზოგიერთი კი ჰუმანიტარულით, მსგავსი და მონათესავე დისციპლინები ცხრილში მომოსაზღვრე საათებშია გათვალისწინებული.

შესწავლილ სკოლებში მოსწავლეთა უმრავლესობას არა აქვს დღიურები. მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირად საქმეებს აკლია ცნობები. ზოგიერთ სკოლაში საკლასო ჟურნალები მოუვლელია. ჟურნალებში ადგილი აქვს ნიშნების ამოშლა-გადასწორებას, არ წარმოებს გაცდენილი გაკვეთილების შეჯამება და სხვა.

სწავლების ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ მასწავლებელთა შორის გაკვეთილები მეტისმეტად დაქუცმაცებულია. მაგალითად, მახარაძის I-ლ საშუალო სკოლაში ფიზიკას 5 მასწავლებელი ასწავლის, ხოლო ქიმიას—3, დვაბზუს 8 წლიან სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას (V—VIII კლასები) 3 მასწავლებელი ასწავლის, ცხემლისხიდის საშუალო სკოლაში (V—XI კლასები) კი—5 მასწავლებელი.

სუსტად არის დაყენებული დისციპლინა მოსწავლეთა შორის, მახარაძის II და ცხემლისხიდის საშუალო სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის, დაგვიანებისა და გაკვეთილიდან გაპარვის ხშირ შემთხვევებს.

მახარაძის II საშუალო სკოლაში გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ზოგიერთი ნამუშევარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში გასწორებულია ზერელედ და შეფასებულია ლიბერალურად, ოქროს მედალოსნებს დაბალი შეფასება ეკუთვნით, ხოლო ექსტერნის წესით კურსდამ-

თავრებულთა ერთი ნაწილის ნამუშევარი არადამაკმაყოფილებელ შეფასებას იმსახურებს (მასწავლებლები მ. კუნჭულია, შ. დოლიძე). მათი წერითი ნამუშევრები გასწორების გარეშეა შეფასებული და ხელმოუწერელია დირექტორის, ასისტენტებისა და გამომცდელი მასწავლებლის მიერ.

მახარაძის II და ცხემლისხიდის საშუალო სკოლებში დარღვეულია რვა კლასისა და საშუალო განათლების მოწმობების, ატესტატების შენახვისა და გაცემის წესები. მახარაძის II საშუალო სკოლაში გაუცემელია რვაკლასის განათლების 19 ცალი მოწმობა და 5 ცალი საშუალო განათლების ატესტატი, აქედან საშუალო განათლების ორი ატესტატი შეუვსებელია, ხოლო ერთ ატესტატში ჩაწერილია ნიშნები, მაგრამ აკლია კურსდამთავრებულის გვარი და სახელის ჩაწერა. ცხემლისხიდის საშუალო სკოლას არ გამოუტანია განათლების განყოფილებიდან და არ გაუცია 7 ცალი რვა კლასის განათლების მოწმობა იმათზე, რომლებმაც შემოდგომაზე დაამთავრეს რვა კლასი.

ქ. მახარაძის I, II და III საშუალო სკოლებში მოუწესრიგებელია გასათბობი სისტემა, რის შედეგადაც სასკოლო შენობების გათბობა ზამთრის სეზონში შეუძლებელია.

მახარაძის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ხ. ხავთასი) პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად ამოწმებს სკოლების მუშაობას, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცევს მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმებას, რის გამოც ნაკლოვანებანი სკოლებში კვლავ გამოუსწორებელი რჩება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებს და საფუძვლიანად გააანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები;

ბ) სასწავლო კაბინეტები შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული მუშაობა ტარდებოდეს სისტემატურად;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სასწავლო მეოთხედების ბოლოს მოახდინონ მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ღრმა ანალიზი, გამოავლინონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტად დაცვით;

ე) გააუმჯობესონ საწარმოო და შრომითი სწავლება, შეიმუშავონ ჩიონ ისეთი პროფილები, რომელთა შესწავლისათვის არსებობს სათანადო ბაზები;

ვ) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციით დადგენილი წესები რვაწლიანი და საშუალო განათლების მოწმობებისა და ატესტატების შენახვისა და გაცემის შესახებ.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მახარაძის II საშუალო სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კპ მახარაძის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის ბიურომ და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისა და პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის სკოლის დირექტორს გ. კალანდარიშვილს გამოუცხადა საყვედური და დატოვა პირობით ამ თანამდებობაზე, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგეს ს. გოგუაძეს გამოუცხადა საყვედური და მიზანშეწონილად ჩათვალა მისი სხვა სკოლაში სამუშაოდ გადაყვანა.

3. მიღებულ იქნას ცნობად განათლების განყოფილების გამგის ამხ. ხ. ხავთასის განცხადება, რომ საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და სამსახურებრივი მოვალეობის უპასუხისმგებლოდ შესრულებისათვის მახარაძის II საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს მ. მემარნიშვილს, ქიმიის მასწავლებელს ნ. ხავთასს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მ. კუნჭულიას, ნ. ხელაძეს, შ. დოლიძეს გამოეცხადათ საყვედური.

4. სკოლების მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ხ. ხავთასს გამოეცხადოს საყვედური.

მასვე დაევალოს:

ა) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი; სისტემატურად შეამოწმოს სკოლების მუშაობა და მიიღოს ქმედითი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) განსაკუთრებულ კონტროლქვეშ დააყენოს ბრძანებაში მოხსენებულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა და, თუ ისინი მუშაობას არ გააუმჯობესებენ, სამუშაოდან გაათავისუფლოს სათანადო წესის დაცვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) არ დაუშვას მცირე საათებზე მასწავლებლის დანიშვნისა და ამა თუ იმ საგანში გაკვეთილების დაქუცმაცების პრაქტიკა;

დ) ანგარიში ამ ბრძანების შესრულების შესახებ წარმოადგინოს 1964 წლის 1 სექტემბრამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 8 აპრილის ბრძანება № 403

ჩოხატაურის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შეხახებ

გავეცანი რა ჩოხატაურის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, ამ საქმეში ფართოდ იყო ჩაბმული შეფორგანიზაციები. მაგალითად, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩოხატაურის რაიონის სკოლებს შეემატა 12 სასკოლო შენობა, რაზედაც დაიხარჯა 121 000 მანეთი, აქედან საზოგადოების მონაწილეობით 82 000 მანეთი.

დასახელებული რაიონის შემოწმებულ რიგ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად მუშაობს, რის შედეგადაც მოსწავლეები საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ. მათგან აღსანიშნავია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ე. ჩიგოგიძე (ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლა), ლ. ჩიჩუა და გ. ბურჭულაძე (განახლების საშუალო სკოლა), ქ. თურმანიძე (კოხნარის სკოლა-ინტერნატი); მათემატიკის მასწავლებლები: მ. ბერიძე და ნ. შარაშენიძე (ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლა), კ. თავართქილაძე, ე. ლომაძე (ხიდისთავის საშუალო სკოლა), დ. დოლიძე (განახლების საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებელი ნ. ცენტერაძე (კოხნარის სკოლა-ინტერნატი); ქიმიის მასწავლებელი ე. კობიძე (განახლების საშუალო სკოლა).

მიუხედავად ამისა, შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

დაწყებითი კლასის ზოგიერთი მასწავლებელი, კერძოდ, ზ. აცანელიძე, ე. კალანდაძე (ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლა), ვ. ჟღენტი, ს. დევიძე (განახლების საშუალო სკოლა) არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ აძლევენ მოსწავლეებს დედაენის პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნას. ბავშვებს არა აქვთ გამომუშავებული სუფთად, აზრიანად და სწორად წერის

ჩვევები. არ წარმოებს ვარჯიში მეცდომეობის გასწორებაზე, ნაკლებად იყენებენ „ქართული წერის დედანს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე ჩოხატაურის I-ლი (მასწავლებელი ზ. მეგრელიშვილი), ხიდისთავის (მასწავლებლები ი. კალანდაძე, ნ. ბროკიშვილი), შუა განახლების (მაწავლებელი ლ. ყაჭეიშვილი და მასწავლებელი და სასწავლო ნაწილის გამგე რ. ყაჭეიშვილი) საშუალო სკოლებში. მოსწავლეთა უმრავლესობას არ შესწევს დამოუკიდებლად თხრობისა და სწორად მეტყველების უნარი, არ ძალუძთ მხატვრული ნაწარმოების შინაარსის იდეურ-მხატვრული ანალიზი. ქართული ენის სწავლება მიმდინარეობს მშრალად, სწავლების დროს არ იყენებენ ცოცხალ მეტყველებასა და მხატვრულ ნაწარმოებებს, რის შედეგადაც მოსწავლეებმა ზეპირად იციან გრამატიკის კანონები, მაგრამ ვერ იყენებენ როგორც წერითს, ისე ზეპირ მეტყველებაში. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები წერის ნორმებს არ ასრულებენ, ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ, არ ასწორებენ გულდასმით და შეცდომები რჩებათ შეუმჩნეველი. მაგალითად, კოხნარის საშუალო სკოლის VI კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში არც ერთი საკონტროლო წერა არ ჩატარებულა (მასწავლებელი და სკოლის დირექტორი მ. ჩიგოგიძე) და I-ლ და II მეოთხედში მოსწავლეებს კი ამ საგანში შეფასება აქვთ. აგრეთვე, ამ სკოლის V—XI კლასებშიც (მასწავლებელი ა. შანიძე) წერის ნორმები არ არის შესრულებული. ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლის IV კლასის (მასწავლებელი ზ. აცანელიძე) მოსწავლის თ. მ-ლის საკონტროლო წერითი ნამუშევარი მასწავლებელს შეუფასებია ნიშან „4“, შეუნიშნავს 5 შეცდომა და შეუნიშნავი დარჩენია 12-ზე მეტი შეცდომა. შუა განახლების საშუალო სკოლის (მასწავლებელი ს. ბაბულეიშვილი) VIII კლასის მოსწავლის რ. ს-ის ნამუშევარში დაშვებულია 19-ზე მეტი შეცდომა, მაგრამ ნამუშევარი მაინც „3“-ზეა შეფასებული.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება. ამ საგანში მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ჩოხატაურის I-ლი (მასწავლებლები ა. ჯიბუტი, ნ. კუტუბიძე), განახლების (მასწავლებელი ე. ჟღენტი), შუა განახლების (მასწავლებლები ც. ბერეკაშვილი, ლ. გოგოლაძე) საშუალო სკოლებში. ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლის XI კლასში მასწავლებელს ალგებრასა და გეომეტრიაში ნაჩქარევად დაუმთავრებია პროგრამა და მოსწავლეთა ცოდნის დონე არადამაკმაყოფი-

ლებელია. შუა განახლების XI კლასის არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა ტრიგონომეტრიაში საშინაო დავალების ამოცანა ამოხსნილი, არ იციან ტანგენსების თეორემის გამოყენება ირიბკუთხა სამკუთხედის ამოხსნის დროს. ამავე სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ათწილადებზე მოქმედება.

განახლების საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეებმა არ იციან ზეპირი ანგარიში და ტაბულა, ხოლო კოხნარის საშუალო სკოლის II კლასში საკონტროლო წერები ჩაუტარებიათ არა სექტემბრიდან, არამედ იანვრიდან. ხიდისთავის საშუალო სკოლის VI კლასში გეომეტრიას ერთი მასწავლებელი ასწავლის, ხოლო ალგებრას მეორე.

ფიზიკაში მომუზადებლად ტარდება გაკვეთილები კოხნარის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. ჩიბოღლი). მასწავლებელმა X კლასში თემა — „წრიული დენის მაგნიტური ველი" — ახსნა 7 წუთში. სათანადოდ არ იქნა დემონსტრირებული წრიული დენისა და სოლენოიდის მაგნიტური ძალხაზების განლაგება, მაგნიტური სპექტრი. გაკვეთილზე მასწავლებელმა არ ახსნა სოლენოიდისა და ბურღის გამოყენების სქემები. იმავე მასწავლებელმა VII კლასში თემა — „მუშაობისა და სითბოს კავშირი, თანაფარდობა მათ საზომ ერთეულებს შორის" — ახსნა 5 წუთში. მოსწავლეებისათვის გაუგებარი დარჩა მუშაობისა და სითბოს ერთეულთა შორის თანაფარდობა. დასახელებულ კლასში ახსნილი მასალის განმტკიცებისათვის განკუთვნილ დროში ამოხსნილი ამოცანები არ შეესაბამებოდა გაკვეთილის თემას, აღსანიშნავია ისიც, რომ, X კლასში მასწავლებელმა ჯოულ-ლენცის კანონზე ამოცანა ამოხსნა არარაციონალური ხერხით. ჩოხატაურის I-ლ საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ი. ტრაპაიძე) სუსტად იციან ნიუტონის კანონები, ერთეულთა სისტემები, ისინი დამოუკიდებლად ვერ ხსნიან საშუალო სიძნელის ამოცანებს.

ამ საგანში ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს ამავე სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ა. ჯიბუტი), ისინი სიმძლავრის ცნებას ვერ ასხვავებენ ძალის ცნებისაგან. მუშაობის ერთეულებს ურევენ სიმძლავრის ერთეულებში, კუთრსითბოტევადობას ვერ არჩევენ სითბოტევადობისაგან. შუა განახლების საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ლ. ლორია) მოსწავლეები ვერ ერკვევიან გამტარების მიმდევრობით და პარალელურ შეერთებაში, სუსტად იციან ჯოულ-ლენცისა და ომის კანონები, ვერ ადგენენ უმარტივესი ელწრედის სქემებს, ზერელედ იციან ფიზიკურ სიდიდეთა შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება. ასევე სუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადება გამოამჟღავნეს განახლების საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ვ. დოლიძე) მოსწავლეებმა.

შუა განახლების საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტისათვის არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი, კოხნარის საშუალო და გოგოლესუბნის რვაწლიან სკოლებში ფიზიკის კაბინეტი შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი გადატვირთულია ერთიდაიგივე სახელწოდების ხელსაწყოებით. შესწავლილ სკოლებში არ არის შექმნილი ნორმალური პირობები ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისათვის. კაბინეტებში მცირე რაოდენობითაა საჭირო ხელსაწყო-იარაღები, რის გამოც არ ხერხდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა ცდისა და ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება. ჩოხატაურის I-ლი და ხიდისთავის საშუალო სკოლების IX კლასებში გასულ სასწავლო წელს არ დაუმთავრებიათ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა, ამის გამო წელს X კლასებში ნაჩქარევად წარმოებს ფიზიკის სწავლება.

ხიდისთავის საშუალო და გოგოლესუბნის რვაწლიანი სკოლების ქიმიის მასწავლებლები ს. კოპლატაძე და ს. სიხარულიძე ვერ ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. მათ ვერ შესძლეს ტოლობის შედგენა ჟანგეულების ქიმიურ თვისებებზე, ვერ ადგენენ ნაერთთა სტრუქტურულ ფორმულებს, უხეშ შეცდომებს უშვებენ იონურ ტოლობებში, არ იციან ნაერთთა ძირითადი კლასები, ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან მარტივი ნივთიერებისა და ქიმიური ელემენტის ცნებებს, არ არიან დაუფლებული სადემონსტრაციო ცდების ჩატარების ტექნიკას.

ზემოაღნიშნულის გამო ქიმიაში ამ სკოლების მოსწავლეთა ცოდნის დონე ძალზე დაბალია. აგრეთვე სუსტია ამ საგანში მოსწავლეთა ცოდნის დონე შუა განახლების საშუალო სკოლაში (მასწავლებელი რ. სიხარულიძე). ამ სკოლაში არ არის მოწყობილი ქიმიის კაბინეტი, ხელსაწყო-იარაღები საკლასო ოთახში მოთავსებულ კარადებში აწყვია, არ ტარდება ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები. შესწავლილ სკოლებში არ ექცევა ყურადღება ვარჯიშს ამოცანების ამოხსნაზე, აგრეთვე კლასგარეშე მუშაობაც არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

გოგოლესუბნის რვაწლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. სიხარულიძე) განთესილია 4 მოსწავლე.

შესწავლილ ყველა სკოლაში გაკვეთილების ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს. ადგილი აქვს საგნების ანდა ზოგჯერ ერთი და იგივე საგნის ზედიზედ,

შუალედების გარეშე შეტანისა და გაკვეთილების გაწყვეტილების ხშირ შემთხვევებს, აგრეთვე ცხრილში საგნების სიძნელეების მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული.

ჩოხატაურის რაიონში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითება დაწყებითი კლასების მასწავლებელთა შესაფერისი კადრებით დაკომპლექტების შესახებ. ასე, მაგალითად, ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებლად 1962 წლის ოქტომბერში დაუნიშნავთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი ზ. აცანელიძე, რომელმაც არ იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები. ამავე სკოლის III კლასში გასულ სასწავლო წლიდან მასწავლებლად მუშაობს უმაღლესი, ფილოლოგიური განათლების მქონე ე. კალანდაძე, რომელსაც არა აქვს გამოცდილება და არ იცნობს დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების მეთოდიკას, რის შედეგადაც ამ საგანში მოსწავლეთა ცოდნის დონე არადამაკმაყოფილებელია. ასევე მასწავლებელთა სუსტი კადრებითაა დაკომპლექტებული განახლებისა და შემოწმებული სხვა სკოლების ზოგიერთი დაწყებითი კლასები.

შესწავლილ ყველა სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილული მეოთხედების შედეგების ანალიზები არასრულყოფილია და დადგენილებებიც ზოგადია. ზოგიერთი სკოლის პედსაბჭოს ოქმი უწიგნურადაა გაფორმებული.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა მთელ რიგ სკოლებში. არ წარმოებს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება და მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე არ იკითხება მოხსენებები პრაქტიკულ საკითხებზე.

შესწავლილი სკოლების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი არ უვლის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს, წიგნები დაზიანებული და გაჭუჭყიანებულია; არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა განახლების, შუა განახლების, კოხნარის საშუალო და გოგოლესუბნის რვაწლიან სკოლებში.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასკოლო დოკუმენტების წარმოებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების დარგში. ჩოხატაურის I-ლი საშუალო და ზოგიერთ შესწავლილ სკოლებში მოუვლელია სასკოლო ჟურნალები, ადგილი აქვს შეფასების ნიშნების ჩასწორებისა და ამოფხეკის ხშირ შემთხვევებს. ზოგჯერ დარღვეულია მიმდინარე შეფასების საფუძველზე მეოთხედური ნიშნების გამოყვანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესები. კლასის ხელმძღვანელთა ერთ ნაწილს არ გააჩნია ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

სუსტადაა დაყენებული შიგასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, ასე, მაგალითად, კოხნარის საშუალო სკოლის დირექტორს, მ. ჩიგოგიძეს შემოწმების დღისათვის ერთი გაკვეთილიც არ აღმოაჩნდა მოსმენილი, ის არ იცნობს მასწავლებლების მუშაობას და სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. ხიდისთავის (ე. კუტუბიძე), შუა განახლების (რ. ყაჭეიშვილი), კოხნარის (დ. თოდუა) საშუალო და გოგოლესუბნის (ს. გოგოლაძე) რვაწლიანი სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები სუსტ კონტროლს უწევენ მასწავლებელთა მუშაობას. ისინი იშვიათად ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე და თუ ესწრებიან წინასწარ მოუმზადებლად, რის შედეგად გაკვეთილების ანალიზები უხარისხოა და უწესრიგოდაა ვაფორმებული. ჩოხატაურის I-ლი, კოხნარის, ხიდისთავის, შუა განახლების საშუალო და გოგოლესუბნის რვაწლიან სკოლებს არ ჰქონდათ შედგენილი საკონტროლო წერების გრაფიკი; წერის ნიშნები არა იწერება საკლასო ჟურნალებში, ზოგიერთ კლასში არ სრულდება წერის ნორმები.

შემოწმებულ ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დირექტორები დასასწავლო ნაწილის გამგეები არასწორადაა შერჩეული. არის შემთხვევები, როდესაც დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ერთი და იგივე სპეციალობისანი არიან. მაგალითად, ჩოხატაურის I-ლი საშუალო და გოგოლესუბნის რვაწლიანი სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ისტორიკოსებია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეამოწმონ მასწავლებელთა მუშაობა, საფუძვლიანად გაანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები და მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი მეცნიერულად და მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებდეს;

ბ) სასწავლო კაბინეტებს (სადაც ეს არ არის) გამოუყონ შესაფერისი ბინები; კაბინეტები შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული მუშაობა ტარდებოდეს სისტემატურად;

გ) უზრუნველყონ მოსწავლეები დღიურებით; მტკიცედ დაიცვან სკოლაში და მოსწავლეთა შორის სანჰიგიენური პირობები; მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოსწავლე სკოლაში ატარებდეს და წესიერად უვლიდეს სასკოლო სახელმძღვანელოებს;

დ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტად დაცვით;

ე) გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, მოაწყონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება და ამ დარგში მუშაობა წარმართონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 422 ბრძანების შესაბამისად;

ვ) რეგულარულად და მომზადებულად ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები, სისტემატურად მოისმინონ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა, მეოთხედების ბოლოს მოახდინონ ჩატარებული მუშაობის ღრმა ანალიზი და მიიღონ გადამჭრელი ზომები მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ზ) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე, უზრუნველყონ სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლაში ჩაბმა და არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა განთესვა.

2. კოხნარის საშუალო სკოლის დირექტორ მ. ჩიგოგიძეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და საგნის ცუდად სწავლებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, ხოლო ჩოხატაურის I-ლი საშუალო სკოლის დირექტორს ი. კუჭავას, ხიდისთავის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ე. კუტუბიძეს, კოხნარის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს გ. თოდუასა და გოგოლესუბნის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ს. გოგოლაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

3. მიღებულ იქნას ცნობად ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მ. კეკელიძის განცხადება, რომ I საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ზ. აცანელიძე პირველი აპრილიდან განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო ამავე სკოლის III კლასის მასწავლებელი ე. კალანდაძე და შუა განახლების საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე რ. უაჭეიშვილი განთავისუფლდებიან ახალი სასწავლო წლიდან.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) 1964/1965 სასწავლო წლის მეორე მეოდხედში შეამოწმოს კოხნარის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

5. ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. კეკელიძე);

ა) გააძლიეროს სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სისტემატურად შეამოწმოს როგორც ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე, ისე სხვა სკოლების მუშაობა, შედეგები განიხილოს განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის;

ბ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შემადგენლობა და ისინი, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, შესცვალოს საქმის მცოდნე და უნარიანი კადრებით;

გ) არ დაუშვას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებების დარღვევა მასწავლებელთა დანიშვნის წესების შესახებ. ამიერიდან აღკვეთოს სათანადო ცენზისა და გამოცდილების არმქონე მასწავლებელთა დანიშვნა;

ე) ამ ბრძანების შესრულების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წლის 20 აგვისტოსათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 27 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 8 აპრილის ბრძანება № 404

პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია სასწავლო აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობა; ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების დარგში მოპოვებულია გარკვეული წარმატებები.

კარგად არის დაყენებული ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების საქმე VII კლასში. მასწავლებელი ქ. ქერქაძე საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილისათვის, აღწევს კარგ შედეგებს მოსწავლეთა მომზადების საქმეში. დამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა II, III და IV რუსულ კლასებში (მასწავლებლები მ. ტაბატაძე, ლ. კარცხიკიანი და ან. ბელაგუროვა). კარგად ისწავლება მათემატიკა V—VII კლასებში. მასწ. რ. სუპატაშვილმა ახალი მასალა „წილადების გამოკლება და გაყოფა“ ახსნა აქტიური ხერხით, გაკვეთილი ჩაატარა ორგანიზებულად. იგი ფლობს თავის საგანს, სისტემატურად ემზადება გაკვეთილებისათვის. მოსწავლეებს ავარჯიშებს ამოცანებზე და ზეპირ ანგარიშში, სათანადო ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი მასალა.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ფიზიკის სწავლება სკოლა-სანატორიუმის VII კლასში (მასწ. ს. ლომიძე). სკოლას გააჩნია ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების ისეთი რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სადემონსტრაციო ცდის ჩატარებას. ახალი მასალა—„გაზების წონა და წნევის გადაცემა“ მასწავლებელმა ახსნა კარგად, თვალსაჩინოების გამოყენებით, ჩაატარა ცდა და იქვე შეამოწმა ახლადახსნილი მასალის შეთვისების დონე.

სათანადო სიმაღლეზეა ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება (მასწ. ნ. ხუციშვილი). სკოლა-სანატორიუმს აქვს ქიმიისა და ბიო-

ლოგიის კეთილმოწყობილი კაბინეტი, კაბინეტში არსებული ხელ-
საწყო იარაღები სავსებით საკმარისია პროგრამით გათვალისწინე-
ბული ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლა-სანატორიუმში აღმზრდელობითი მუშაობა დამაკმაყო-
ფილებლად არის დაყენებული. კარგი მუშაობით გამოირჩევიან:
ქ. ბოსტიაშვილი, ნ. ცაგარელი, ნ. ფერაძე, ვ. ოქრუაშვილი და
სხვები. მათ აქვთ თავიანთი საღმზრდელო ჯგუფების სპეციფიკუ-
რი პირობების გათვალისწინებით შედგენილი სამუშაო გეგმები და
ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის ჟურნალები; ესწრებიან მოსწავ-
ლეებს საუზმის, სადილისა და ვახშმის მიღებისას, უნერგავენ მათ
კულტურულ, სანიტარულ და ჰიგიენურ ჩვევებს.

სასწ. წლის I და II ნახევრის პედაგოგიური საბჭოს, კლასის
ხელმძღვანელების, აღმზრდელებისა და უფროს პიონერხელმძღვა-
ნელის სამუშაო გეგმები ძირითადად სწორად არის შედგენილი;
გეგმიანად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები; მასწავლებ-
ლებთან ტარდება პედაგოგიური ხასიათის თათბირები, ლექციამ-
ოხსენებები და საუბრები.

კარგად არის დაყენებული პიონერთა შორის მუშაობა. უფ-
როსი პიონერხელმძღვანელი ამხ. თ. ქელეხსაშვილი დაუფლებულია
თავის საქმეს.

სანატორიუმს აქვს კარგი მატერიალური ბაზა სასწავლო-
აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის (სასწავლო
და საცხოვრებელი კორპუსი, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, პიონერთა
ოთახი, მიწის ნაკვეთი, იზოლატორი, რენტგენის კაბინეტი, მექანი-
ზირებული სამზარეულო, კეთილმოწყობილი სასადილო, აბანო,
სამრეცხაო, საშრობი).

საცხოვრებელში, სასადილოსა და სამზარეულოში სრული
წესრიგი და სისუფთავეა, ბავშვების კვება მრავალფეროვანია. კვე-
ბის კალორულობა საშუალოდ უდრის 3500-ს.

დამაკმაყოფილებლად ხორციელდება შიგასასკოლო კონტრო-
ლი და ხელმძღვანელობა.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, პატარა ცემის სა-
ტყეო სკოლა-სანატორიუმის მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვა-
ნებებს.

არადაძაკმაყოფილებელია წერითი სამუშაოების ჩატარებისა
და მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორების საქმე სკოლა-სანატო-
რიუმის IV—V—VII (მასწავლებელი ა. ჩაჩავა) და III (მასწავლე-
ბელი ჟ. ინასარიძე) კლასებში. IV—VII კლასის მასწავლებელი
ა. ჩაჩავა უხარისხოდ ასწორებს წერით ნამუშევრებს. ყოველ ნა-

შრომში მასწავლებელს შეუმჩნეველი რჩება შეცდომები, ხშირად ამ ნაშრომებს აფასებს ლიბერალურად, სრულიად არ ასწორებს ლიტერატურულ კითხვაში მიცემულ საშინაო დავალებებს. ასევე, ანალ-ოგიურად ასწორებს შეცდომებს III კლასის მასწავლებელი ჟ. ინასარიძე. იგი წერითი ნამუშევრის გასწორებისას ყურადღებას აქცევს მხოლოდ კალიგრაფიას, ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები უყურადღებოდ რჩება.

ცუდად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება სკოლა-სანატორიუმის II და III კლასებში. მასწავლებლები ნ. სახოკია და ჟ. ინასარიძე ამჟღავნებენ რუსული ენის უცოდინარობას, უშვებენ უხეშ შეცდომებს, ზერელედ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს და სხვ.

სკოლა-სანატორიუმის II კლასის მასწავლებელი თ. სახოკია ნაკლებ ყურადღებას უთმობს ზეპირ ვარჯიშს და განვლილი მასალის გამეორება-განმტკიცებას არითმეტიკაში.

ბიოლოგის კაბინეტი ღარიბია მოსწავლეების მიერ შედგენილი ჰერბარიუმით და თვითნაკეთი სასწავლო მასალებით. გამოუყენებელია აკვარიუმები. შრომითი სწავლებისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ოთახი.

ცალკეული საგნის მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები და აღმზრდელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას, არ ეხმარებიან მათ და ნაკლებად უწევენ ანგარიშს სკოლის სპეციფიკურ პირობებს, ამის გამო მიმდინარე შეფასებით აკადემიურად ჩამორჩენილია სხვადასხვა კლასების 14 მოსწავლე.

ზოგიერთი რაიონის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები არ ღებულობენ საჭირო ზომებს სანატორიუმში გასაგზავნ კონტინგენტის სათანადოდ შერჩევისათვის, რიგ შემთხვევაში მოსწავლეებს გზავნიან საბავშვო პოლიკლინიკებიდან არასწორი ჩვენებებით, ხოლო ზოგჯერ საგზურებს დაუსაბუთებლად აბრუნებენ უკან. სწავლის პერიოდში სკოლა-სანატორიუმის კონტინგენტის გეგმის შესრულება ფერხდება. სასწავლო წლის მესამე მეოთხედში სკოლა-სანატორიუმში ნაცვლად 180 მოსწავლისა გამოცხადდა 135.

სკოლა-სანატორიუმში ორი წელია არ არის ექიმი პედიატრი, ამის გამო შეფერხებულია ავადმყოფ ბავშვებზე ყოველდღიური დაკვირვებისა და სათანადო მკურნალობის ჩატარება.

სასწავლო წლის მესამე მეოთხედში პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის არც ერთი საგზური არ აუთვისებიათ ქ. თბი-

ლისის კიროვის, კალინინის, ოქტომბრის, 26 კომისრის, ფოთის, თელავისა და ზუგდიდის, აგრეთვე ბოლნისის, გეგეჭკორის, ...ბახ... რაძის, სამტრედიის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ჩაქვის, ჩოხატაურის რაიონების განათლების განყოფილებებს.

სკოლა-სანატორიუმს არა აქვს საკმაო რაოდენობით წყალი. ამის გამო სახანძრო დაცვის ღონისძიებების გატარება საშიშროების წინაშეა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის მუშა-მოსამსახურეებს ცუდი საბინაო პირობები აქვთ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის დირექტორმა ამხ. დ. ჭავჭანიძემ:

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე; მიაღწიოს იმას, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პერიოდულად იხილებოდეს სასწავლო წლის სხვადასხვა მეოთხედში ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა, საალმზრდელო გეგმების შესრულების მიმდინარეობა და სხვა საკითხები;

ბ) უახლოეს ხანში გამოყოს სპეციალური ოთახები ფიზიკის კაბინეტისა და სახელოსნოსათვის.

გ) იზრუნოს სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად, დაავალოს ბიბლიოთეკარს გადასინჯოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, გამოაკრას იგი მოსწავლეთათვის მისაწვდომ ადგილზე, უფრო მეტი რაოდენობით ჩააბას მოსწავლეები კლასგარეშე კითხვაში და გაუწიოს სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა მიერ წიგნებით სარგებლობის საქმეს;

დ) ცალკეული საგნების მასწავლებლებს დეტალურად გააცნოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო ბრძანებები და მითითებები, იხელმძღვანელოს მით და უზრუნველყოს სწავლების სათანადო დონეზე დაყენება;

ე) მიაღწიოს იმას, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ა. ჩაჩავამ და ჟ. ინასარიძემ ენის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ ლიტერატურულ მასალას და მართლწერის საკითხებს, იბრძოლონ როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის, მეტი ყურადღება დაუთმონ ნამუშევრების გასწორების საქმეს, ზუსტად იხელმძღვანელონ გა-

ნათლების სამინისტროს მიერ წერითი სამუშაოების შესახებ დაშვებული მითითებებით;

ვ) დაავალოს ცალკეული საგნების მასწავლებლებსა და აღმზრდელებს სისტემატურად ჩაატარონ მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან და სკოლა-სანატორიუმის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით უზრუნველყონ ამ დარგში არსებული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

ზ) ყოველდღიური კონტროლი დააწესოს კვების ბლოკის მუშაობაზე, უზრუნველყოს სკოლა-სანატორიუმის მომარაგება ხარისხიანი პროდუქტებით.

2. აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ადგილობრივ ტუბდისპანსერებთან სკოლა-სანატორიუმის კონტინგენტის სწორად შერჩევისათვის.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ლ. საყვარელიძეს):

ა) დანიშნოს პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში ექიმი პედიატრი, რომელსაც ექნება ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.

ბ) მისცეს მითითება ადგილებზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს განათლების ადგილობრივ ორგანოებთან კავშირის დამყარების შესახებ, რათა პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში იგზავნებოდნენ ტუბდისპანსერების მიერ აღრიცხვაზე აყვანილი მოსწავლეები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას.

4. რუსული ენის მასწავლებლებს ნ. სახოკიას (II კლასი) და ე. ინასარიძეს (II) კლასი), როგორც ამ საგნის არმცოდნეებს, ჩამოერთვას რუსული ენის გაკვეთილები.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

ა) შეისწავლოს პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის წყლით მომარაგების საკითხი და უახლოეს ვადაში უზრუნველყოს წყლით მომარაგების საქმის მოგვარება;

ბ) მ/წლის 1 მაისამდე შეისწავლოს პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმთან მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინების და სპორტული დარბაზის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხი და წინადადებები წარმოადგინოს განსახილველად.

6. ქ. თბილისის კიროვის, კალინინის, 26 კომისრის, ქ. ქ. ფოთის, თელავის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბოლნისის, გეგეჭკორის,

მახარაძის, სამტრედიის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ქობულეთის, ჩოხატაურის, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა რაიონის (ქალაქის) ტუბდისპანსერებთან ერთად უზრუნველყონ პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის საგზურების ყოველ სასწავლო მეოთხედში მთლიანად ათვისება.

7. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლებისა
მინისტრი

თ. ვ. ლაშქარაშვილი

10 აპრილი 1964 წელი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სკოლის მხატვრული აღზრდის წრეებისათვის

ზოგადი დებულებანი

1. სკოლის დირექცია ვალდებულია შექმნას მხატვრული აღზრდის შემდეგი წრეები: მუსიკალური (გუნდი, ორკესტრი, მომღერალთა ჯგუფები და სხვა), ქორეოგრაფიული (როგორც ნაციონალური, ისე საბალეტო), ხატვისა და ძერწვის, დრამატიული.

2. წრეობრივი მუშაობა შეიძლება მიენდოს შეთავსებით რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი დარგის მასწავლებელს, ან სპეციალურად მოწვეულ პირს.

3. მხატვრული აღზრდის წრეებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლის დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე, რომელიც თვალყურს ადევნებს მეცადინეობის მიმდინარეობას, დისციპლინას, მოსწავლეების დასწრებას და საჭირო შემთხვევაში იღებს ზომებს.

4. ამ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება 1959 წლის 10 სექტემბერს დამტკიცებული დებულება „სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის შესახებ“.

წრეების ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი

1. სკოლის მხატვრული აღზრდის წრეების ხელმძღვანელები ვალდებულები არიან:

აღრიცხვაზე აიყვანონ მხატვრული (მუსიკალური, ცეკვის, ხატვა-ძერწვის) ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, მათგან შექმნან წრეები, იზრუნონ წრეში გაერთიანებულ მოსწავლეთა გემოვნების დახვეწისათვის, სწორ ნიადაგზე დააყენონ მხატვრული აღზრდა-განვითარების საქმე. შეარჩიონ და გაამდიდრონ მოსწავლეთა რეპერტუარი, შეაყვარონ მოსწავლეებს ქართული და მოძმე რესპუბლიკების ხალხური და კლასიკური ხელოვნება.

2. მხატვრული აღზრდის წრეების ხელმძღვანელებად ინიშნებიან უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, უკიდურეს შემთხვევაში, (ქორეოგრაფიაში) დასაშვებია მუშაობდეს საკმაო პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი.

მომღერალთა გუნდის შესახებ

I. სკოლებისათვის, რომლებსაც გუნდის ხელმძღვანელის სრული განაკვეთები აქვთ

გუნდის ორგანიზაცია

1. მომღერალთა გუნდის დაკომპლექტება ხდება ბავშვთა ასაკის მიხედვით, მათი მუსიკალურ-ვოკალური მონაცემების გათვალისწინებით.

შენიშვნა: ხმების გასინჯვის დროს კონტროლი უნდა გაეწიოს ხმის ტემბრს, ეტყობა თუ არა მუტაციის პერიოდი (გარდატეხის), ან ხმას ხომ არ დასდევს შრიალი, ბზარი და სხვ.

2. მომღერალთა გუნდში ერთიანდებიან III—XI კლასების მოსწავლეები.

გუნდის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება

1. მომღერალთა გუნდი უნდა იყოს სამხმიანი (უკიდურეს შემთხვევაში ორ-ხმიანი).

2. მასწავლებელი კვირის განმავლობაში ხმებთან მუშაობს ერთხელ ცალცალკე, ხოლო შემდეგ აერთებს. ე. ი. ხმებთან ცალცალკე მუშაობს 6 საათის ხანგრძლიობით, ხოლო შეერთებულ ხმებთან მუშაობა ეთვლება 6 საათის მუშაობად.

3. რეპერტუარის შერჩევა-დამუშავების, სარეპეტიციო მუშაობის, კონცერტებზე მონაწილეობის, სოლისტებთან მუშაობისათვის და სხვ. გუნდის ხელმძღვანელს დამატებით ეწერება 6 აკადემიური საათი.

4. სულ გუნდის ხელმძღვანელის დატვირთვა 18 აკადემიური საათია კვირაში და მას ხელფასი ეძლევა VIII—XI კლასების მეორე ჯგუფის საგნების მასწავლებელთათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით, განათლებისა და მუშაობის სტაჟის შესაბამისად.

5. გუნდის შემადგენლობაში საერთოდ უნდა ითვლებოდეს 100—120 მოსწავლე.

შენიშვნა: აკრძალულია გუნდის ხელმძღვანელის თანამდებობის გაყოფა და ორ სკოლაზე გადანაწილება.

II. სკოლებისათვის, რომელთაც მხატვრული აღზრდის წრეებისათვის გამოყოფილი აქვთ 0,5 განაკვეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. როდესაც სკოლას აქვს საგუნდო მუშაობისათვის ერთი და საწრეო მუშაობის 0,5 განაკვეთები, მაშინ საწრეო მუშაობის 0,5 განაკვეთის ხარჯზე მომღერალთა გუნდის ნაცვლად ჩამოყალიბდება მხატვრული აღზრდის სხვა სახეობის წრეები.

2. თუ სკოლაში ჩამოყალიბებულია ოთხი სახის წრე, მაშინ განაკვეთის 0,5 იყოფა შემდეგნაირად:

მუსიკა—0,1125

ქორეოგრაფია—0,1125

ხატვა—0,1125

ძერწვა—0,1125

3. თუ სკოლაში ორი სახეობის წრეა, მაშინ განაკვეთის 0,5 ნაწილდება ორად და თვითეული სახეობის წრეს ეძლევა 0,25;

4. ერთი სახეობის წრის ჩამოყალიბება იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ სკოლას შესაფერი ხელმძღვანელების მოწვევის საშუალება არ აქვს.

5. წრის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება ხდება რვაწლიან სკოლაში V—VIII, ხოლო საშუალო სკოლაში—IX—XI კლასების მეორე ჯგუფის საგნების მასწავლებელთათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით, განათლების და მუშაობის სტაჟის შესაბამისად.

6. მხატვრული აღზრდის წრეების ორგანიზაციისათვის გეგმაზომიერად უნდა იქნას გამოყენებული სკოლის ფაკულტატური საათებიც (საათები უნდა გადანაწილდეს წრეებზე თანაბრად).

7. მხატვრული აღზრდის წრეებისათვის გათვალისწინებული თანხის გამოყენება სხვა დანიშნულებით დაუშვებელია.

მომღერალთა გუნდის შესახებ

იმ სკოლებისათვის, რომლებსაც არ აქვთ გუნდის ხელმძღვანელის მთლიანი განაკვეთი:

1. მომღერალთა გუნდის დაკომპლექტება ხდება ბავშვთა ასაკის მიხედვით, მათი მუსიკალურ ვოკალური მონაცემების გათვალისწინებით (სმენა, რიტმი, მეხსიერება, ხმა, დიაპაზონი).

შენიშვნა: ხმების გასინჯვის დროს კონტროლი უნდა გაეწიოს ხმის ტემბრს, ეტყობა თუ არა მუტაციის პერიოდი, ან ხმას ხომ არ დასდევს შრიალი, ბზარი და სხვა.

2. გუნდში ერთიანდებიან III—XI კლასების მოსწავლეები.

3. გუნდი უნდა იყოს ორხმიანი ან სამხმიანი.

4. მასწავლებელი კვირის განმავლობაში ხმებთან მუშაობს ერთხელ ცალცალკე, ხოლო შემდეგ აერთებს.

5. გუნდის შემადგენლობაში უნდა ითვლებოდეს არანაკლებ 50 მოსწავლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატვა-ძერწვის წრის შესახებ

1. ხატვა-ძერწვის წრე (შეიძლება აღნიშნული წრე იყოს ცალკე ხატვისა და ცალკე ძერწვისა) კომპლექტდება მოსწავლეთა მონაცემებისა და სურვილის მიხედვით.

2. წრეში ერთიანდებიან III—XI კლასების მოსწავლეები.

3. ჯგუფში უნდა ირიცხებოდეს 10—12 მოსწავლე. მასწავლებელი ატარებს მეცადინეობას თვითეულ ჯგუფთან კვირაში 4 აკადემიური საათის ხანგრძლიობით.

ქორეოგრაფიული წრის შესახებ

1. ქორეოგრაფიული წრე კომპლექტდება მოსწავლეთა მონაცემებისა და სურვილის მიხედვით, ამასთანავე წრეში შემსვლელმა მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს ექიმის ნებართვა მისი წრეში გაერთიანების შესაძლებლობის შესახებ.

2. წრეში ძირითადად ერთიანდებიან III—XI კლასის მოსწავლეები.

3. ჯგუფში უნდა ირიცხებოდეს 14—15 მოსწავლე. ჯგუფს კვირაში უტარდება 2 მეცადინეობა, თითოეული 2 აკადემიური საათის ხანგრძლიობით.

დრამატიული წრის შესახებ

1. დრამატიული წრე კომპლექტდება მოსწავლეთა მონაცემებისა და სურვილის მიხედვით.

2. ჯგუფში გაერთიანებული უნდა იყოს 15-დან 30-მდე მოსწავლე. ხელძღვანელი მუშაობს კვირის განმავლობაში როგორც ჯგუფთან ერთად, ისე ცალკეულ შემსრულებლებთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 10 აპრილის ბრძანება № 409

ქ. ჭიათურაში, ახალციხის, თელავის, ლანჩხუთისა და დუშეთის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

ქ. ჭიათურაში, ახალციხის, თელავის, ლანჩხუთისა და დუშეთის რაიონებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელების საქმეში გარკვეულ ნაკლოვანებებს.

სკოლის გარეთ დარჩენილია სასკოლო ასაკის ბავშვები: ახალციხის რაიონში—62, თელავის რაიონში—46, დუშეთის რაიონში—14, ქ. ჭიათურაში—4.

არ ტარდება საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. 1963/64 სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტს დააკლდა ახალციხის რაიონში—132, თელავის რაიონში—109, დუშეთის რაიონში—11, ქ. ჭიათურაში—38 ბავშვი.

სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას აკლია ახალციხის რაიონში—217, თელავის რაიონში—536, დუშეთის რაონში—272, ლანჩხუთის რაიონში—175.

მათ შორის I—VIII კლასებში აკლია ახალციხის რაიონში—84, თელავის რაონში—351, დუშეთის რაიონში—171 ბავშვი.

დიდია აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა. მეორეწლიანია დუშეთის რაიონში—1080, ახალციხის რაიონში—861, ჭიათურაში—356, ლანჩხუთის რაიონში—372, სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით ვერ ასწრებენ მეორე წლიანი მოსწავლეები: ახალციხის რაიონში—191, ლანჩხუთის რაიონში—86, დუშეთის რაიონში—143, ქ. ჭიათურაში—81. უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში მაგ. თელავის რაიონის კონდოლის საშ. სკოლის 50 მეორეწლიანი მოს-

წავლიდან ვერ ასწრებს 15. კისისხევის საშ. სკოლის 23 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს—9.

ჯერ კიდევ ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლაში ვერ შექმნილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ქ. ჭიათურის, ახალციხის, დუშეთის, ლანჩხუთისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) ამთავითვე მიიღონ ყველა ზომა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველჰყონ სკოლას ჩამოცილებული ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის ჩაბმა სწავლებაში;

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზღდელობითი მუშაობა სკოლებში, მოაწყონ დამატებითი მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან, რათა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრონ სასწავლო წელი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 20 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 10 აპრილის ბრძანება № 410

ცხაკაიასა და სამტრედიის რაიონების სკოლებში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ცხაკაიასა და სამტრედიის რაიონების ზოგიერთ სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში მიმდინარე სასწავლო წელს მოპოვებული აქვს გარკვეული წარმატებები.

მშრომელთა ფართო მონაწილეობისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო ხელშეწყობით ამ რაიონების სკოლები მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. ცხაკაიას მეორე საშუალო (დირექტორი ნ. გუგუნავა), სარაქონის 8-წლიანი (დირექტორი რ. ჯალაღანია), სამტრედიის რაიონის კულაშის (დირექტორი კ. ძნელაძე) და სხვ. სკოლები.

გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლებიდან ჩამოშორება.

განათლების განყოფილებები სწავლობენ სკოლების მუშაობას და უსახავენ მათ სათანადო ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მ/სასწავლო წელს შესწავლილი აქვს სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებას 15 საშუალო, 17 რვაწლიანი და 13 დაწყებითი სკოლის მუშაობა; ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებას კი—21 საშუალო, 18 რვაწლიანი და 15 დაწყებითი სკოლის მუშაობა. რეგულარულად იწვევა სახალხო განათლების საბჭოს სხდომები, რომლებზეც იხილება აქტუალური საკითხები, როგორიცაა: რაიონის ცალკეულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები; საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი განათლების კანონის განხორციელების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და სხვა დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და სხვ.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით მუშაობს, მოსწავლეებს აძლევს მტკიცე ცოდნა-ჩვევებს.

ამ მხრივ მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ტ. ნანავა (ცხაკაიას III საშუალო სკოლა) ლ. ბერია (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), ლ. ზულაძე (სამტრედიის რაიონი, კულაშის საშ. სკოლა), ლ. ჭაკვეტაძე (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა), ნ. ცაგარეიშვილი და ე. ცაგარეიშვილი (გოჩა ჯიხაიშის საშუალო სკოლა);

გერმანული ენის მასწავლებლები: ა. გუნია (ცხაკაიას რუსული საშუალო სკოლა), დ. წვერავა (წულუკიძის მეორე საშუალო სკოლა), ტ. შეროზია (ვ. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლა), ბ. რამინაშვილი (კულაშის საშ. სკოლა);

რუსული ენის მასწავლებლები: კ. ქვარცხავა, მ. კვირკველია (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), ც. ქუთელია (ვ. სტურუას სახ. კულაშის საშუალო სკოლა), ზ. ჯალაღანია (ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლა);

მათემატიკის მასწავლებლები: ო. ჯახუა (ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლა), ა. ადამია და ნ. ჭავჭანიძე (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა), ლ. ცხადაია (ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლა), დ. ჯინჯოლავა (ცხაკაიას რაიონის კირცხის საშუალო სკოლა), ს. ცაგარეიშვილი (სამტრედიის რაიონი, გოჩა ჯიხაიშის საშუალო სკოლა), ე. მჟავანაძე (სამტრედიის რაიონის კულაშის საშუალო სკოლა);

ფიზიკის მასწავლებლები: კ. ხვითარია (ცხაკაიას მეორე საშ. სკოლა), ზ. ხოჭოლავა (ცხაკაიას პირველი საშ. სკოლა), ი. ბახტაძე (წულუკიძის მეორე საშ. სკოლა), ლ. თევზაძე (კულაშის საშუალო სკოლა), შ. ეძგვერაძე (გოჩა ჯიხაიშის საშ. სკოლა);

ქიმიის მასწავლებლები: ვ. ხუხია და ნ. ბარბაქაძე (ცხაკაიას მეორე საშ. სკოლა), ე. ქუცურუა და შ. ვეკუა (ჩხოროწყუს საშ. სკოლა), თ. წვერავა (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა), მ. ნიკურაძე (კულაშის საშუალო სკოლა), დ. შანიძე (ქვემო ნოღის რვაწლიანი სკ.);

ისტორიის მასწავლებლები: ვ. მამფორია (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), რ. ჯალაღანია (ცხაკაიას რაიონის სარაქონის საშ. სკოლა);

საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები: ნ. ჭანტურია (ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლა), კ. ძნელაძე (კულაშის საშუალო სკოლა); გეოგრაფიის მასწავლებელი ვ. კუტალაძე (ქვემო ნოღის 8-წლიანი სკოლა);

კარგადაა დაყენებული საწარმოო სწავლება ცხაკაიას პირველი (მასწ. ზ. ხოჭოლავა), კირცხის (მასწ. ა. ჯიღლაძე), სამტრე-

დიის რაიონის საჯავახოს (მასწ. ო. თარგამაძე), გოჩა ჯიხაიშის (მასწ. გ. ცაგარეიშვილი) საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა შემოწმებულ სკოლებ-ბის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ელ. ქადარია (ფოცხოს საშუალო სკოლა), ი. ჯოლოგუა (ფოცხოს რვაწლიანი სკოლა); ი. ჩხენკელი (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა), ჟ. უნგიაძე (საჯავახოს საშ. სკოლა), ა. ძნელაძე (ქვემო ნოღის რვაწლიანი სკოლა) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ნაწარმოებთა ტექსტის შესწავლას, არ ახდენენ ნაწარმოების მხატვრულ და იდეურ ანალიზს, ლიტერატურის თეორიის ძირითად ცნებებს სათანადოდ ვერ უკავშირებენ კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოების შესწავლას, გრამატიკას ასწავლიან ლიტერატურული მასალიდან მოწყვეტილად, ვერ იყენებენ მას მართლწერის ჩვევების დასანერგად, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მასალის განმეორებას, მოუმზადებლად ატარებენ და ზერელედ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო, საშინაო და საკონტროლო წერითს სამუშაოებს, რის შედეგადაც მოუთმენლად დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების დონე.

ჩატარებულ საკონტროლო წერით ნამუშევრებში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს ქვემო ნოღის რვაწლიან სკოლაში 21-დან 18-მა, ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში (მასწ. ბ. კვირკველია) 16-დან 8-მ.

არაობიექტურად შეაფასა მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ბულეიშვილმა.

მნიშვნელოვანი დეფექტებით ხასიათდება რუსული ენის სწავლება. მასწავლებლები ტ. ესართია (კირცხის საშუალო სკოლა), კ. ღურწკაია (ფოცხოს საშუალო სკოლა) მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებენ. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. აღნიშნული მასწავლებლები გულდასმით არ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს.

სუსტად ფლობს გერმანულ ენას წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი ც. ჩარგეიშვილი. ის გაკვეთილებზე უშვებს უხეშ ენობრივ შეცდომებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ცხაკაიას III (მასწ. ი. ბერნატოვიჩი), კულაშის (მასწ. ა. ჩაბრაძე) საშუალო სკოლებში.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ქ. ცხაკაიას III (მასწ. ქ. თოფურია), ფოცხოს (მასწ. ლ. ჯალაღანია), წულუკიძის მეორე (მასწ. თ. კარტოზია) საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სკოლების მასწავლებლები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას მოსწავლეებში ზეპირი მეტყველების ჩვევების განვითარებას. კმაყოფილდებიან მხოლოდ ტექსტის კითხვითა და თარგმნით. გაკვეთილებს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებენ. სწავლებაში არ იყენებენ თვალსაჩინოებას.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ზოგიერთ სკოლაში.

დაწყებითი სკოლის არითმეტიკის მასწავლებლებს ლ. ტორჩინავას (ფოცხოს რვაწლიანი სკოლა), რ. კვირტიას (სარაქონის რვაწლიანი სკოლა), კ. ხურცილავას (წულუკიძის მეორე საშუალო სკოლა), კ. ლორიას (ქვემო ნოღის 8-წლიანი სკ.) არ აქვთ სათანადო მათემატიკური განათლება, ისინი ვერ ერკვევიან მათემატიკურ მოქმედებათა თანმიმდევრობაში, მათ უჭირთ მარტივი ამოცანების გადაწყვეტა, ვერ ახერხებენ ამოცანის პირობის შემოკლებულად ჩაწერას და დიდ დროს ხარჯავენ ამოცანის ჩაწერაზე, მასწავლებლები ამოცანის შინაარსს მოსწავლეებს კარგად ვერ აგებინებენ და ისე იწყებენ მის ამოხსნას, მოსწავლეთა მიერ მოცემულ მცდარ პასუხებს არ ასწორებენ და უყურადღებოდ სტოვებენ. მაგალითებს დაფაზე ძალზე ცუდად წერენ, შეკითხვებს მოუფიქრებლად და გაუმართავად სვამენ. თვით მასწავლებლებმა არ იციან ზეპირი გამოანგარიშებანი, რის შედეგადაც მოსწავლეებს არ გააჩნიათ არითმეტიკის საკითხების ელემენტარული ცოდნა.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს არითმეტიკაში V კლასის მოსწავლეებმა ფოცხოს (მასწ. ჯ. პერტაია), ვ. სტურუას სახ. კულაშის (მასწ. მ. ქათამაძე) საშუალო და ქვემო ნოღის (მასწ. მ. ლორია) რვაწლიან სკოლებში. მოსწავლეებმა გაუაზრებლად და მექანიკურად იციან ჩვეულებრივი წილადები, ათწილადები და მათზე მოქმედებანი, ვერ ხსნიან მარტივი სახის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს, ნაკლებად ინერგება მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩვევები.

აღნიშნული მასწავლებლები გულდასმით არ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს და დაუმსახურებლად მაღალ ნიშანზე აფასებენ.

მეტად დაბალია ფოცხოს საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ცოდნა გეომეტრიაში. მასწ. კ. ღურწკაიას აკლია მეთოდური დახელოვნება, ვერ ახერხებს მოსწავლეთა ჩაბმას გაკვეთილის

პროცესში. მოსწავლეებმა არ იციან თეორემების დამტკიცება და ამოცანების ამოხსნა.

კ. ღურწკაია აგრეთვე ასწავლის ფოცხოს რვაწლიან სკოლაში, სადაც მოსწავლეთა მომზადების დონე ძალზე დაბალია. ამ სკოლის VIII კლასს საკონტროლო წერისათვის მიეცა ამოცანა კვადრატული განტოლების ამოხსნაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამავე ამოცანაზე რამდენიმე დღის წინათ მასწავლებელს ჩატარებული ჰქონდა საკონტროლო წერა, 26 მოსწავლიდან ვერცერთმა ვერ შეძლო მისი ამოხსნა და ყველა წერითმა ნამუშევარმა შეფასება „2" დაიმსახურა. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს VII კლასის (მასწ. ა. ხუბუნია) მოსწავლეებმა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ზოგიერთ სხვა სკოლაშიც. სარაქონის რვაწლიანი სკოლის მერვე კლასში ალგებრის საკონტროლო წერის შედეგად (მასწ. ბ. ყალიჩავა) 13 მოსწავლიდან ნიშანი ორი მიიღო 10 მოსწავლემ, საჯავახოს საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწ. თ. ფესვიანიძე) 18 მოსწავლიდან გეომეტრიაში საკონტროლო წერის შედეგად ნიშანი ორი მიიღო 12 მოსწავლემ. IX კლასში მოსწავლეებს საკონტროლო წერაზე მეორე ხარისხის უტოლობა ამოხსნილი აქვთ არასწორი გზით. მასწავლებელ თ. ფესვიანიძეს არ გაუსწორებია და მაღალი ნიშნით აქვს შეფასებული.

მენჯის 8-წლიანი სკოლის VII კლასის (მასწ. ვ. ხუხუა) 11 მოსწავლიდან ალგებრაში საკონტროლო წერის შედეგად ნიშანი ორი მიიღო 10 მოსწავლემ. ვ. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლის (მასწ. ს. კვაბზირიძე) XI კლასის 14 მოსწავლიდან ალგებრის საკონტროლო წერაზე ნიშანი ორი მიიღო 9 მოსწავლემ.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს ალგებრაში ჩხოროწყუს (ყოფილი მასწავლებელი თ. სორდია), ვ. სტურუას სახ. კულაშის (მასწ. ს. კვაბზირიძე) საშუალო სკოლების IX კლასის მოსწავლეებმა. მათ უჭირთ მეორე ხარისხის უტოლობათა ამოხსნა და ამ ამოხსნის გრაფიკული ილუსტრაცია. უფრო ცუდი მდგომარეობაა წულუკიძის პირველ საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. ჯმუხაძე).

მეტად დაბალ დონეზე დგას გეომეტრიის სწავლება მეცხრე კლასებში.

იმის გამო, რომ ჯერჯერობით გამოცემული არ არის სახელმძღვანელო და ბევრი მასწავლებელი ნაკლებად იცნობს დამხმარე ლიტერატურას, საგანს ასწავლის არა პროგრამული თანმიმდევრობით, არამედ იმ საკითხების მიხედვით, რომელზედაც ლიტერატუ-

რა მოეპოვებათ. მაგ. სოფ. საჯავახოს საშუალო სკოლის IX კლასის გეომეტრიის მასწ. თ. ფესვიანიძეს ჯერ გაუვლია თემა „ჰომოთეტია“, ისიც მკრთალად, შემდეგ დაუწყია ღერძული და ცენტრალური სიმეტრიის სწავლება. მოსწავლეებმა გავლილი საკითხები არ იციან, ვერცერთმა მათგანმა ვერ შესძლო ამოეხსნა ამოცანა ღერძულ სიმეტრიაზე.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება.

ადგილი აქვს ფიზიკის საათების განაწილების არასწორ პრაქტიკას. საჯავახოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. გეგეშიძე) ფიზიკის გაკვეთილები მათემატიკის 3 მასწავლებელზეა განაწილებული. მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს კირცხისა და ფოცხოს საშუალო სკოლებში.

ზოგჯერ ფიზიკა ზეპირსიტყვიერად ისწავლება, არ ტარდება ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. ასე, მაგ. ფოცხოს საშუალო სკოლის VII კლასში მასწ. ჯ. პერტიას მასალის „კინეტიკური ენერგია“ გავლისას არ უჩვენებია უბრალო ცდითაც კი კინეტიკური ენერგიის მქონე სხეულის მაგალითი.

კირცხის საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ნ. იზორია) ზეპირსიტყვიერად იქნა გამოკითხული „კათოდური სხივების ბუნება“. მოსწავლეები წინასწარ დაფაზე დამზადებულ ნახაზზე ყვებოდნენ გაკვეთილს ისე, რომ სუსტად ერკვეოდნენ თვით კათოდური სხივების წარმოშობის არსში, ვერ ასაბუთებდნენ, თუ რატომ გადაიხრება კათოდური სხივები მაგნიტურ ველში და სხვ. მსჯელობის დროს უშვებდნენ ფაქტობრივ შეცდომებს.

მოსწავლეები მცდარად განმარტავენ წნევას და მის საზომ ერთეულებს. სუსტი წარმოდგენა აქვთ გამტარში ელექტრული დენის წარმოშობის მიზეზებზე და სხვ.

საჯავახოს საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. ე. ჯღამაძე) მოსწავლეებმა არ იციან თუ რა არის ძალა, მუშაობა, სიმძლავრე ან რა ერთეულებში იზომებიან ისინი და სხვ.

X კლასის მოსწავლეები (მასწ. სხილაძე) ფიზიკის ცალკეულ ცნებებს და დებულებებს ვერ უკავშირებენ ბუნებაში მომხდარ მოვლენებთან. კლასის არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა ელვისა და ჭექა-ქუხილის წარმოშობის ფიზიკური არსი და ა. შ.

ანალოგიური მდგომარეობაა ფოცხოს (მასწ. ვ. ტორჩინავა), წულუკიძის პირველი (მასწ. გ. გოფოძე) საშუალო სკოლებში.

დასახელებული მასწავლებლები იშვიათად ატარებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს და, როცა ატარებენ, მაშინაც არ ახდენენ მათ გასწორებას.

რიგ სკოლებში ფიზიკის კაბინეტები სათანადოდ არ არის მოწყობილი. ზოგ შემთხვევაში კაბინეტში გვხვდება რამდენიმეგზის ერთი და იგივე ხელსაწყო, როცა ერთის მეტი არ არის საჭირო.

მაგ. ჩხოროწყუს საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტშია ნიუტონის III კანონის სადემონსტრაციო დინამომეტრი 10 ცალი, მაგდებურგის ნახევარ-სფეროები 3 წყვილი, შიგაწვის ძრავას ჭრილი 4 ცალი, ორთქლის მანქანის ჭრილი 4 ცალი, ელექტროდენის გამმართველი 3 ცალი და სხვ. მაშინ, როდესაც კაბინეტში არ არის ლაბორატორიულ-პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი ხელსაწყოები, როგორიცაა კალორიმეტრები, თერმომეტრები და სხვ.

ზოგიერთი სკოლა სწავლების პროცესში არ იყენებს ძვირფას ხელსაწყოებს. მაგ. ფოცხოს საშუალო სკოლაში „ელექტროკონსტრუქტორი", „კათოდური სხივების სადემონსტრაციო მასალები" და სხვ. ხელუხლებლად არის შენახული.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქიმიაში კირცხის საშუალო სკოლის (მასწავლებლები ვ. ბეჭვაია და ქ. შელეგია) მოსწავლეებმა. IX კლასის მოსწავლეებმა არ იცოდნენ გაკვეთილის მასალა „ელემენტების ვალენტობა ელექტრონული თეორიის მიხედვით", ასევე არ იცოდნენ ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის ჯგუფები და პერიოდები, იონური და ატომური კავშირი და სხვ. XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ეთილის სპირტი, მისი მიღება, თვისებები და გამოყენება; ნაჯერი და უნაჯერო ნახშირწყალბადი; უჭირთ ქიმიურ რეაქციათა ტოლობების წერა და სხვ. ხოლო X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ნახშირჟანგის მიღება, თვისებები და გამოყენება; ნახშირმჟავა და მისი მარილები, მჟავური და ფუძეჟანგეულები.

ასევე სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ქიმიაში კულაშის ვ. სტურუას სახ. საშუალო სკოლის (მასწ. ვ. გაგუა) X კლასის მოსწავლეებმა. მათ ვერცერთ კითხვაზე ვერ გასცეს პასუხი დამოუკიდებლად; არ იციან ალუმინი პერიოდულ სისტემაში და ატომთა აღნაგობა, ალუმინის ჟანგი და ჰიდროჟანგი, ფოსფოროვანი სასუქები. ვერ ადგენენ ტოლობებს და ფორმულებს ვალენტობის გამოყენებით. აღნიშნული მასწავლებლები არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სადემონსტრაციო ცდას. არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე.

არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის გამოყოფილი ოთახები ქიმიის კაბინეტისათვის, არ ხდება მისი შევსება სასწავლო თვალსაჩინო მასალით. ფოცხოს საშუალო სკოლაში არა აქვთ სა-

ჭირო რეაქტივები და ხელსაწყოები. კირცხის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტისათვის ერთი ოთახია გამოყოფილი, რომელიც მოუწყობელია და ქიმიის გაკვეთილები საკლასო ოთახში ტარდება.

წულუკიძის მეორე საშუალო (მასწ. ნ. კორთხონჯია), ცხაკაიას პირველი საშუალო (მასწ. ა. ხაბურზანია), ფოცხოს რვაწლიანი (მასწ. ნ. ხევსურიანი) სკოლების ისტორიის მასწავლებლები კმაყოფილდებიან ისტორიული ფაქტების აღნიშვნით, არ არკვევენ მოვლენის, ფაქტის მიზეზებს, შედეგებს, მნიშვნელობას, ამიტომ მოსწავლეებს არ აქვთ ისტორიის გააზრებული ცოდნა, მათ არ იციან ძირითადი, ელემენტარული ფაქტები, თარიღები, ისტორიულ პირთა სახელები, ამ პიროვნებათა მოღვაწეობა, არ შეუძლიათ მარტივი განზოგადების გაკეთება, დასკვნების გამოყვანა. აღნიშნული სკოლების მოსწავლეებმა სუსტად იციან საპროგრამო მასალა.

კულაშის (მასწ. შ. კიკაჩეიშვილი), წულუკიძის მეორე (მასწ. ლ. ბახტაძე) საშუალო სკოლებში არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედნები და არ წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების შესრულება.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საკითხებს, ეს სამუშაო დაგეგმილი აქვთ გრაფიკის ან გეგმა-გრაფიკის სახით, რომელშიც არაა შეტანილი სიახლეების ძიებისა და საცდელი მუშაობის ამსახველი საკითხები. მოუგვარებელია ცხაკაიას მესამე საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. განგია) საწარმოო სწავლებისათვის ბაზების მოწყობისა და სწავლების ნორმალურად დაყენების საკითხი. მოსწავლეები არ ცხადდებიან სისტემატურად საწარმოო სწავლებაზე, მოსწავლეები მიმაგრებული არიან ცხაკაიას საავეჯო საამქროზე, მაგრამ საამქროში უკანასკნელ ხანს არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ვ. ცაგურია ვერ ერკვევა სწავლების ორგანიზაციის საკითხებში. მოსწავლეთა ერთ ნაწილს მუშაობა უხდება სკოლის სადურგლო სახელოსნოში, სადაც არაა საჭირო სამუშაო იარაღები და ისინი სამუშაოებს პრიმიტულად ასრულებენ, არაა დაცული უსაფრთხოების წესები.

ანალოგიური მდგომარეობაა ვ. სტურუას სახელობის კულაშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. შენგელია), მის საწარმოო სწავლების ბაზას წარმოადგენს კულაშის ბამბეულისა და ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკა (დირექტორი ვ. კოპალეიშვილი). აქ დღემდე არაა მოწყობილი ცალკე სასწავლო საამქრო. არ აქვთ საჭირო სა-

მუშაო იარაღები, სპეც-ტანსაცმელი, არც ერთ მოსწავლეს მინერგებული არ აქვს თანრიგი.

ფოცხოს საშუალო სკოლის მასწავლებელი მემცენარეობაში (გ. ღვინჯილია) არ ადგენს გაკვეთილების გეგმას, ვერ იყენებს თვალსაჩინოებას. მოსწავლეებმა არ იციან ელემენტარული საკითხები: სასუქების კლასიფიკაცია, ვერ არჩევენ მინერალურ სასუქებს ორგანული სასუქებიდან, არ იციან სასუქების შენახვის წესები. ნიადაგში მათი შეტანის დოზების გაანგარიშება და სხვ.

დღემდე არ აქვს გამოყოფილი სასწავლო საცდელი ნაკვეთი ცხაკაიას პირველ საშუალო სკოლას. დაუმუშავებელია სასწავლო საცდელი ნაკვეთები ფოცხოსა და კულაშის საშუალო სკოლებში. მოუწყობელია სასწავლო სახელოსნოები კირცხის, ფოცხოს, კულაშის საშუალო სკოლებში.

მოსწავლეები არ იცნობენ იმ დაზგებს და მოწყობილობას, რომლებზედაც მათ მუშაობა უხდებათ, არ იციან მათი ნაწილები და მუშაობის პრინციპები, არ აქვთ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, მოსწავლეთა შრომა არ გამომდინარეობს სასწავლო პროგრამებიდან. მასწავლებლები არ ახდენენ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას. ნაკლებად ეძლევათ მოსწავლეებს საკონტროლო სამუშაოები, არ ეწყობა მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ნაკეთობათა გამოფენები და სხვ.

ფოცხოს საშუალო (დირექტორი ი. ხაბურზანია), ფოცხოს რვაწლიანი (დირექტორი ი. ჯოლოგუა) ჩხოროწყუს საშუალო (დირექტორი ი. ახალაია) მენჯის რვაწლიანი (დირექტორი გ. ჭოჭუა), კირცხის საშუალო (დირექტორი ი. ვარდია), წულუკიძის მეორე საშუალო (დირექტორი ს. ქუთათელაძე), გოჩა ჯიხაიშის საშუალო (დირექტორი ი. იობიძე) სკოლებში გაკვეთილების ცხრილი არასწორადაა შედგენილი, ცხრილში დაწყვილებულია ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის საათეები, ორ საათიანი და სამ საათიანი დისციპლინები ცხრილში უშუალედოდ არის მოთავსებული. ცხრილში ზოგჯერ პირველი, მეორე, მესამე გაკვეთილი ეთმობა საწარმოო სწავლებას, შემდეგი გაკვეთილები კი ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს.

აღნიშნული სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები საფუძვლიანად არ იცნობენ ყველა საგნის სასწავლო პროგრამას და სახელმძღვანელოს, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს და არ თხოვენ მის შესრულებას მასწავლებლებს; ვერ იძლევიან გაკვეთილის მეცნიერულ ანალიზს, ვერ წვდე-

ბიან რა საგნის სწავლების არსში ზოგჯერ დაუმსახურებლად აქებ-
ბენ მასწავლებელს.

ფოცხოს რვაწლიანი სკოლის დირექტორი ი. ჯოლოგუა ... ...
თონ ასწავლის საგანს—ქართულ ენას და ლიტერატურას დაბალ
დონეზე.

პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სრულიად არ ვლინდება
ცალკეული მასწავლებლების მუშაობაში არსებული ხარვეზები და
არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული და
დასახული საჭირო ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის
დეკემბრის პლენუმის მიერ სკოლის წინაშე დასმული ამოცანების
განხორციელების შესახებ.

ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური მუშაობა, ნაკლე-
ბად ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგა-
დება და დანერგვა მუშაობაში.

ჯეროვნად არ ზრუნავენ სკოლის მატერიალური ბაზის განმ-
ტკიცებისათვის, სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოების მოწყო-
ბისა და შევსებისათვის, არსებული ხელსაწყო იარაღების სწავლე-
ბაში მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ზოგიერთმა სკოლამ ერთ-
ცვლიან მეცადინეობაზე გადაყვანის მიზნით სასწავლო კაბინეტები
გააუქმა.

წულუკიძის მეორე საშუალო სკოლამ, რომელსაც ტიპიური
ახალი სასკოლო შენობა აქვს, შენობის მესამე სართულის დერე-
ფანში უხეიროდ და ულაზათოდ ფანერისაგან 4 საკლასო ოთახი
„გააკეთა", რითაც სკოლას დაუკარგა თავისი სილამაზე, ამ ოთახებში
კი სწავლება ძალზე მოუხერხებელია. სკოლაში არ არის სათანადოდ
მოწყობილი კაბინეტები.

არ ჩანს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების
ავანგარდული როლი სწავლასა და შეგნებული დისციპლინის განმ-
ტკიცების საქმეში.

ადგილი აქვს სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლიდან ჩამოშო-
რების შემთხვევებს, მაგალითად, სწავლას ჩამოცილდა კირცხის
საშუალო სკოლიდან 3, ფოცხოს და კულაშის საშუალო სკოლები-
დან თითო-თითო ბავშვი.

ცხაკაიასა (გამგე კ. შარტავა), სამტრედიის (გამგე ვ. თევზაძე),
რაიონების განათლების განყოფილებები იშვიათად ახდენენ სკოლე-

ბის გამორკვევის შედეგად მიცემული მითითების შესრულების შემოწმებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა:

ა) გაკვეთილებისათვის სისტემატური და გულმოდგინე მომზადებით ბეჯითად იმუშაონ პროგრამული მასალის საფუძვლიანად გავლის და მოსწავლეთა მკვიდრი ცოდნის მისაღწევად, რათა წარმატებით დაამთავრონ სასწავლო წელი;

ბ) თვალსაჩინოების, ცდების, დაკვირვებების, ექსკურსიების და სხვა პრაქტიკულ სამუშაოთა ფართოდ გამოყენებით ხელი შეუწყონ მოსწავლეთა პოლიტექნიკურ აღზრდას და მათ მომზადებას მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის;

გ) დაეხმარონ კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციებს განახორციელონ მათი ავანგარდული როლი მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმატების ამაღლების საქმეში;

დ) სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა გულმოდგინედ შეისწავლონ ყველა საგანში სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებები. ღრმად ჩაწვდნენ ცალკეული საგნის სწავლების არსში და გაკვეთილებზე დასწრების შედეგად მასწავლებლებს მისცენ მეცნიერულად და მეთოდურად გამართული მითითებები;

ე) მომზადებულად ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები გამოავლინონ ცალკეული საგნის სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პერიოდულად შეამოწმონ მიღებული დადგენილებების შესრულება.

ვ) ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან უზრუნველყონ სკოლებიდან განთესილ ბავშვთა დაბრუნება სკოლაში.

2. ცხაკაიას (გამგე კ. შარტავა), სამტრედიის (გამგე ვ. თევზაძე) რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) გააუმჯობესონ და გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საფუძვლიანად შეისწავლონ სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობა. შემოწმების შედეგები განიხილონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების საბჭოს სხდომებზე. შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დასახონ ქმედითი ღონისძიებანი და უზრუნველყონ მათი განხორციელება;

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედში შეამოწმონ სკოლებში სკკპ ცკ-ის 1963 წლის დეკემბრისა და 1964 წლის თებერვლის პლენუმების შესაბამისად ჩატარებული მუშაობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ზ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სასწავლო კაბინეტების და სახელოსნოების მოსაწყობად, კატეგორიულად აკრძალონ ერთ-ცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის მიზნით კაბინეტის გაუქმების არასწორი პრაქტიკა;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე და სათანადო სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს;

ე) მეოთხე მეოთხედის ბოლოსათვის შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობა და, თუ ისინი არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, სათანადო წესის დაცვით, წარმოადგინონ პროექტი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

ვ) აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ამ რაიონების ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

3. ცხაკაიას რაიონის ფოცხოს 8-წლიანი სკოლის დირექტორს ი. ჯოლოგუას, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას და თვითონ საგანს — ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის დაბალ დონეზე, გამოეცხადოს საყვედური. განათლების განყოფილებამ სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლოს მისი საქმიანობა და შედეგების მიხედვით გადაწყვიტოს ახალი სასწავლო წლიდან მისი დირექტორად დატოვების ან დირექტორობიდან განთავისუფლების საკითხი.

4. ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის სწავლებაზე არასათანადო ხელმძღვანელობისათვის ფოცხოს საშუალო სკოლის დირექტორს ი. ხაბურზანიას, კირცხის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ვარდიას, წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს ს. ქუთათელაძეს, კულაშის ვ. სტურუას სახ. საშუალო სკოლის დირექტორს ნ. შენგელიას, საჯავახოს საშუალო სკოლის დირექტორს ვ. გეგეშიძეს მიეთითოთ.

5. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) დააწესოს ზედამ-
ხედველობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1964 წლის 27 მარტის დადგენი-
ლება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა გაზეთ „სახალხო განათლების“ ა/წლის 1-ლი აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილის—„გამოცდილების გამდიდრების საუკეთესო საშუალება“ შესახებ

1964 წლის 10 აპრილი

გაზეთ „სახალხო განათლების“ ა/წლის პირველი აპრილის ნომერში გამოქვეყნდა XVI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობის შესახებ წერილი—„გამოცდილების გამდიდრების საუკეთესო საშუალება“, სადაც აღნიშნულია, რომ თითქოს განათლების სამინისტროს მეთოდისტები, გარდა ისტორიის სექციისა, არ დასწრებიან სექციურსა და პლენარულ სხდომებს. როგორც ჩანს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას არ შეუსწავლია საქმის ნამდვილი ვითარება და მკითხველები შეჰყავს შეცდომაში. სინამდვილეში კონფერენციის 1-ლ სხდომას ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად სამმართველო-განყოფილებების უფროსები, სასკოლო ინსპექტორები და ინსპექტორ-მეთოდისტები, ხოლო სექციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ჯაფარიძემ (ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექცია), კლ. ნოდიამ (გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექცია), გ. შეყლაშვილმა და შ. ლომიძემ (ისტორიის სწავლების მეთოდიკის სექცია), თ. მელქაძემ (უცხო ენის სწავლების მეთოდიკის სექცია), რ. კანდელაკმა (საღამოს, ცვლის, და დაუსწრებელი საშუალო სკოლების სექცია), გ. მერკვილაძემ (ფიზიკური აღზრდისსე ქცია), გ. აბდუშელიშვილმა, ვ. სულავამ და შ. ბერუჩაშვილმა (სკოლამდელი აღზრდის სექცია), პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდკაბინეტის მეთოდისტებმა ტ. ფაჩუაშვილმა (ქიმიის სწავლების

მეთოდიკის სექცია), გ. ერაძემ (მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექცია), ო. ვახტანგაძემ (ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექცია), თ. გუნიავამ და ბ. გოგალაძემ (შრომითი-პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდიკების სექცია).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. გაზეთ „სახალხო განათლების" ა/წლის 1-ლი აპრილის ნომერში XVI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ არასწორი ინფორმაციის მოთავსებისა და მკითხველთა დეზორიენტაციისათვის გაზეთის რედაქტორს ამხ. გ. ნ. საჯაიას მიეთითოს.

2. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების" მორიგ ნომერში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავჯდომარე

ლ. მაღლაფერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 16 აპრილის ბრძანება № 427

ქ. თბილისის სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქ. თბილისის სკოლებში უკანასკნელი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობა. საგრძნობლად გაიზარდა სასკოლო სასადილოების რიცხვი, რომლებიც ემსახურებიან სკოლებსა და მათთან გახსნილ გახანგრძლივებული დღის ჯგუფებს.

ქ. თბილისის რიგი სკოლების (მე-7, მე-8, მე-10, მე-11, 24-ე, 39-ე, 42 ე, 47-ე, 53-ე, მე-60, 61-ე, 63-ე, 103-ე, 110-ე) ბუფეტები და სასადილოები მოთავსებულია შესაფერის ბინებში, უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, სათავსოებით, წყალგაყვანილობით, მაცივრებით, გაზის ქურებითა და ჰიგიენური მაგიდებით, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და მოწესრიგებულია მასწავლებელთა მორიგეობა.

რაიონული სამზარეულოები დამაკმაყოფილებლად ამარაგებენ სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებს. ბუფეტები ყოველდღე ღებულობენ რძეს, მაწონს, არაჟანს, ხაჭოს, კისელს, სოსისს, სხვადასხვა სახის ფუნთუშეულს და სხვ. დროულად გააქვთ რძისა და მაწვნის ტარა.

აღსანიშნავია 110-ე სკოლის (დირექტორი ა. ჩობანიანი) ბუფეტის მუშაობა. სკოლაში ორგანიზებულია მოსწავლეთა კვება ცხელი საუზმით და სადილით. სკოლას, № 132 სამზარეულოსთან შეთანხმებით (გამგე დ. ჭანიშვილი), მზა პროდუქციის ნაცვლად მოაქვს ნახევარფაბრიკატები, ადგილზე ამზადებს სადილსა და ცხელ საუზმეს. I-III კლასები საუზმობენ საკლასო ოთახებში. უფროსი კლასელები სადილობენ და საუზმობენ წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. სკოლის ბუფეტის მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევს სკოლის ექიმი. ბუფეტსა და სასადილოში სანიმუშო სისუფთავეა. მოსწავლეებს შეძენილი აქვთ აბონემენტები და ფულით ვაჭრობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

მიუხედავად ამისა, სკოლების ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. მთელ რიგ სკოლებში (23-ე, 27-ე, 28-ე, 30-ე, 33-ე, 48-ე) ბუფეტები მოაქვთ დაგვიანებით—11 ან 12 საათზე. ცუდადაა დაყენებული ხილით, კვერცხით და ბოსტნეულით მომარაგება ქ. თბილისის ყველა სასკოლო ბუფეტში. 1-ლი, მე-17/25-ე, 27-ე, მე-40, 48-ე, 68/69-ე, 72-ე, 87-ე, 91-ე, 96-ე, სკოლების ბუფეტებში არ არის დაცული სანჰიგიენური პირობები, არ წარმოებს საუზმის აბონემენტებით გაყიდვა. აბონემენტებით სარგებლობენ მხოლოდ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეები. არადამაკმაყოფილებელია მშობელთა მორიგეობა მე-20, 27-ე, 32-ე, 34-ე, მე-40, 59-ე, 63-ე, 87-ე სკოლების სასადილოებსა და ბუფეტებში.

ავტოტრანსპორტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად 24-ე, 27-ე, 38-ე, 89-ე, 91-ე, სკოლებიდან კვირაში მხოლოდ ორჯერ გაიქვთ რძისა და მაწვნის ტარა.

მე-20, 29-ე, 31-ე, 32-ე, 37-ე, 52-ე, 58-ე, 59-ე, 87-ე სკოლებში ჯერ კიდევ არ არის დადგმული გაზის ქურები და საჭმელი ნავთქურებზე ანდა პატარა ელექტროქურებზე მზადდება, რაც ხელს უშლის საუზმის დროულად მომზადებას.

ზოგი სასკოლო ბუფეტი მოთავსებულია შეუფერებელ ოთახებში. ასე, მაგალითად, 68/69-ე სკოლის (დირექტორები: კ. ფხაკაძე, გ. სემიონოვი) ბუფეტის კედლები ჩამონგრეულია, არ არის დაცული სანჰიგიენური პირობები. მე-4, 23-ე, 48-ე, 96-ე სკოლების ბუფეტები მოთავსებულია პატარა ოთახებში. 27-ე სკოლის ბუფეტი (დირექტორი ს. გველესიანი) დერეფანშია მოთავსებული. 91-ე სკოლის (დირექტორი ს. იორდანოვი) მებუფეტე კ. რიბნიკოვა არაკეთილსინდისიერად მუშაობს, ის არ იცავს სანჰიგიენურ პირობებს, საჭმელს უხარისხოდ ამზადებს. 89-ე სკოლასთან არსებულ სასადილოში (მზარეული ა. ჩიგოგიძე) უხარისხო სადილი მზადდება.

ყველა სკოლის ბუფეტში, რომელსაც მარცხენა ნაპირის ტრესტი ამარაგებს (ტრესტის დირექტორი ს. რუხაძე) ფუნთუშეული ზოგჯერ უხარისხოა; უხარისხოა აგრეთვე ხორცკომბინატის მიერ დამზადებული კატლეტი და სოსისი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ (თ. ეგაძე).

ა) უზრუნველყოს მე-4, 23-ე, 27-ე, 48-ე, 98-ე სკოლები ბუ-
ფეტებისათვის შესაფერი ბინით;

ბ) დაისვას საკითხი მარცხენა ნაპირის ტრესტის წინაშე შე-
ბუფეტე კ. რიბნიკოვას შეცვლის შესახებ;

გ) დაავალოს სკოლების დირექტორებს დააწესონ ქ. თბი-
ლისის სასკოლო ბუფეტებში მშობელთა მორიგეობა და მოაწეს-
რიგონ აბონემენტებით ვაჭრობა;

დ) მიიღოს გადამჭრელი ზომები ქ. თბილისის 1-ლ, 17/25-ე
27-ე, მე-40, 48-ე, 68/69-ე, 72-ე, 87-ე, 91-ე, 96-ე, სკოლის ბუფე-
ტებში სანჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად;

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რათა:

ა) მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ტრესტებმა სისტემატური
კონტროლი დააწესონ სასკოლო ბუფეტებისათვის მისაწოდებელი
პროდუქტების ხარისხზე;

ბ) მარცხენა ნაპირის ტრესტმა უზრუნველყოს ტარის ყოველ-
დღიური გატანა სკოლებიდან.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სა-
მინისტროს, სათანადო ორგანოების საშუალებით, გააუმჯობესოს
სამედიცინო მეთვალყურეობა კვების ხარისხზე და სასკოლო ბუფე-
ტებისა და სასადილოების სანჰიგიენური პირობების დაცვაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 16 აპრილის ბრძანება № 429

ქ. თბილისის 1-ლი და მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თბილისის 1-ლ და მე-2 გახანგრძლივებულ დღის სკოლებს ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ოჯახისათვის დახმარების გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული. ორივე სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, სისტემატურად ტარდება მოსწავლეთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

კარგად მუშაობენ დაწყებითი კლასის მასწავლებლები: მ. წერეთელი, ნ. ფანჯავიძე (1-ლი სკოლა) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბ. ფიცხელაური (მე-2 სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ა. შერეზადაშვილი, ც. კიკნაძე, ა. ალიფიმოვა, ლ. შარაშენიძე (1-ლი სკოლა) ლ. ცაგარეიშვილი, მ. სოსელია, ნ. ზოტოვა, ლ. დანილევიჩი (მე-2 სკოლა), ისტორიის მასწავლებლები: ს. მგელაძე, ო. ჩობოტარიოვა (1-ლი სკოლა), ქიმიის მასწავლებელი ქ. ბაკურაძე (მე-2 სკოლა), უცხო ენის მასწავლებლები ლ. ბოჭორიშვილი (1-ლი სკოლა), ც. ჩიხლაძე (მე-2 სკოლა), ლოგოპედი მ. რუხაძე (1-ლი სკოლა), მათემატიკის მასწავლებლები: გ. ალექსიძე, ე. ჩხაიძე (1-ლი სკოლა), უ. ფოცხვერაშვილი, შ. ხვედელიძე, კ. კომლაძე (მე-2 სკოლა), გეოგრაფიის მასწავლებელი ჩეზოტარიოვა (1-ლი სკოლა).

როგორც 1-ლი, ისე მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლებს სწორად აქვთ გაგებული ამ სკოლების მუშაობის მიზნები და ამოცანები. გაცნობილი არიან ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებს, სწავლების პროცესში უნარიანად იყენებენ აქტიურ მეთოდებს. ორივე სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, კარგად არის დაყენებული მოსწავ-

ლეთა თვითმმართველობა, ძირითადად დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა კვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 გახანგრძლივებულ დღის სკოლაში კარგად არის გაშლილი კლასგარეშე მუშაობა. სკოლას ჰყავს მომღერალთა გუნდი, აქვს მოწყობილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ნორჩი ლიტერატორები, ნორჩი ნატურალისტები, გეოგრაფები, მხატვრები, მხაზველები და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა ორთავე გახანგრძლივებულ დღის სკოლაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მასწავლებლები: მ. კვინიკაძე, ქ. ლაფაჩი, ლ. მგელაძე, (მე-2 სკოლა), მ. კოტეტიშვილი (1-ლი სკოლა) მოუმზადებლად ატარებენ გაკვეთილებს, მოსწავლეთა მეტყველების და წერის კულტურის დონე დაბალია. მხატვრული ნაწარმოების სწავლების დროს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ლექსიკურ მხარეს, იდეურ-მხატვრულ ანალიზს. მოსწავლეებმა გრამატიკის წეს-კანონები ზეპირად იციან, მაგრამ პრაქტიკულად არ შეუძლიათ მეტყველებასა და წერაში მათი გამოყენება. ისტორიის მასწავლებლები კ. თავყელიშვილი, თ. სიფრაშვილი (მე-2 სკოლა) მონდომებით არ ემზადებიან ახალი გაკვეთილისათვის.

მასწ. კ. თავყელიშვილმა ახალი მასალა „ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენა“ ზერელედ ახსნა, ვერ გააშუქა ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენის ობიექტური მიზეზები, არ იყენებს გაკვეთილზე თვალსაჩინოებას. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნა ქიმიაში 1-ლი სკოლაში (მასწ. დ. ცხოვრებაშვილი). განვლილი მასალის გამოკითხვისას გამოირკვა, რომ მოსწავლეებმა არ იციან ქიმიურ ტოლობაში კოეფიციენტის გათანაბრების წესი. კოეფიციენტები იწერება მექანიკურად. სპილენძის ჟანგის აღდგენას წყალბადით მოსწავლეები განმარტავენ, როგორც სპილენძისა და წყალბადის შეერთებას. მასწავლებელი დ. ცხოვრებაშვილი არასწორად ხსნის ახალ მასალას, შეცდომით ჩაატარა ცდა ჩანაცვლების რეაქციის გასაცნობად.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მიმდინარე და მეოთხედური ნიშნების სწორად გამოყვანას. მაგ. მე-7 კლასის მოსწავლე გოჩალეიშვილი (კლასის ხელმძღვანელი ხიზანბარელი, მე-2 სკოლა) მეოთხედის მანძილზე არ იყო შეფასებული გეოგრაფიაში, ზოოლოგიასა და ქიმიაში, მეოთხედის ბოლოს კი მოსწავლეს დაუწერეს შეფასება „2“; ხდება პირიქით: მოსწავლეს მიღებული აქვს მიმდინარე

შეფასება „3“ ქართულ წერაში, მეოთხედის ბოლოს კი დაუწერეს „2“ (მასწ. ლ. მგელაძე): საკლასო ჟურნალების მოვლა-წარმოების საქმეს არ ექცევა სათანადო ყურადღება, ხშირია ნიშნების ამოშლა-გადასწორების შემთხვევები.

სასწავლო-მეთოდური და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ადგილი აქვს ორგანიზაციული ხასიათის დარღვევებს (1-ლი, მე-2 სკოლა). მაგალითად, ღია გაკვეთილების მოწყობასა და ჩატარებას სკოლის დირექცია კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მეთოდური გაერთიანებები; კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა გეგმებში ნაკლებად არის ასახული დისციპლინის უხეშად დამრღვევ მოსწავლეებთან საგანგებო ღონისძიებათა გატარება.

სკოლის შიგასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის ძირითად ფორმად ორივე სკოლის დირექცია იყენებს მხოლოდ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას. მოსმენილი გაკვეთილის ანალიზებიდან ჩანს, რომ სკოლის ხელმძღვანელობას ძალიან ცოტა დრო რჩება მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობისათვის და ამის გამო ნაკლებად ხდება მასწავლებლის მუშაობის ყოველმხრივად შესწავლა.

დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ მასწავლებლის მუშაობის შესწავლის მასალებში ნაკლებად ჩანს მათი კონტროლი იმაზე თუ,როგორ მუშაობს მასწავლებელი ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, როგორ ატარებს ის კლასგარეშე მუშაობას, წერით სამუშაოებს, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას, რა აღმზრდელობით მუშაობას ახორციელებს უფროსი პიონერხელმძღვანელი.

აღსანიშნავია, რომ ორივე სკოლაში საკმაო რაოდენობით არის თავმოყრილი ქ. თბილისის სხვადასხვა სკოლიდან გადმოყვანილი დისციპლინის უხეშად დამრღვევი და აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები. ასეთი მოსწავლეები მეტწილად შეინიშნება VI, VII, და VIII კლასებში. ამ აკადემიურად ჩამორჩენილ და დისციპლინის უხეშად დამრღვევ მოსწავლეების მიმართ არასაკმარისად გატარებული ღონისძიების შედეგია ის, რომ 1963 წლის 30 ნოემბერს, როდესაც მე-2 სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სოფელ კახში წავიდა ექსკურსიაზე, გაკვეთილის შემდეგ აღმზრდელებმა თვითნებურად გაუშვეს მოსწავლეები თავიანთ სახლებში. ამ გარემოებით ისარგებლეს V კლასის მოსწავლეებმა ტაბატაძემ, კუპრავამ და ბეროზაშვილმა, სათამაშოდ ავიდნენ სკოლის სხვენზე; თამაშის დროს გ. ტაბატაძემ დამალვა მოინდომა და შემთხვევით ბნელ ორმოში ჩავარდა და მძიმედ დაშავდა.

ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე მასწავლებელთა მორიგეობა მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლაში, მოსწავლეები დასვენებას საკლასო ოთახებში ატარებენ. არაორგანიზებულად ტარდება სკოლაში თვითმომსახურება. ოთახების დალაგებისას არაა დაცული სანიტარული წესები. 1-ლ გახანგრძლივებულ დღის სკოლაში დღის ძილისათვის გამოყოფილია ორი პატარა ოთახი, სადაც მხოლოდ 16 საწოლი დგას. ეს საწოლები გათვალისწინებულია მხოლოდ სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებისათვის. მე-2 სკოლაში კი ზამთრის პერიოდში მოსწავლეთა დღის ძილი საერთოდ არ ტარდებოდა, ვინაიდან სათანადო გათბობა ოთახში არ იყო.

მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლას სასადილო-სამზარეულოსათვის კარგი ბაზა აქვს, მაგრამ კეთილმოუწყობელია, მოუგვარებელია მოსწავლეთა კვების საქმეც; არაა დანერგილი აბონემენტებით კვების საქმე. სასადილოში არ არის სისუფთავე. არავითარი კონტროლი არ წარმოებს პროდუქტების გაცემა-ხარჯვაზე. მზარეული იგივე საწყობის გამგე (ვ. ბერიანიძე) ყოველგვარი ნორმების გარეშე ხარჯავს პროდუქტს. 1-ლი გახანგრძლივებული დღის სკოლაში ბუფეტი სასადილოშია მოთავსებული. სასადილოსა და ბუფეტის ერთდროული მუშაობა უხერხულობას იწვევს, რაც მოითხოვს მოგვარებას.

როგორც 1-ლ ისე მე-2 გახანგრძლივებულ დღის სკოლებში არ არის მოწესრიგებული ხელის დაბანვა ჭამის წინ. მე-2 სკოლაში დაზიანებულია კანალიზაციის მილები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1-ლ და მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლების დირექტორებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა; გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები, მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფასა და სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 10 ივნისის № 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციულ-მეთოდური წერილით გათვალისწინებული მითითებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ; საგნობრივ-მეთოდური გაერთიანების მუშაობის გეგმებში, გარდა სპეციალური მეთო-

დური საკითხებისა, გაითვალისწინონ ლექცია მოხსენებების წაკითხვა აქტუალურ პედაგოგიურ და მეცნიერულ საკითხებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ძირეულად გარდაქმნან მუშაობა კლასის ხელმძღვანელებთან და აღმზრდელ მასწავლებლებთან მოქმედი სათანადო დებულების და მითითების შესაბამისად, მტკიცედ დარაზმონ ისინი იმისათვის, რომ შესწავლილი ჰქონდეთ თითოეული მოსწავლის ხასიათი, ინტერესები, მიდრეკილებები და ამის გათვალისწინებით აწარმოონ კლასებთან მუშაობა; მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ სკოლის პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, საგნის მასწავლებლებთან და მშობლებთან;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღონ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებანი დისციპლინის უხეშად დამრღვევი თითოეული მოსწავლის მიმართ და მშობლებთან, აღმზრდელებსა და კლასის ხელმძღვანელებთან ერთად, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მიიღონ საჭირო ზომები მათ გამოსასწორებლად;

ე) მოაწყონ სკოლებში მასწავლებელთა მორიგეობა დღის მეორე ნახევარში.

2. მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლის დირექტორმა (ლ. მგალობლიშვილმა) უზრუნველყოს მოსწავლეთა ორჯერადი კვების ორგანიზაცია აბონემენტებით.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) 1964 წელს მოამზადოს 1-ლი გახანგრძლივებული დღის სკოლის შენობის კაპიტალური რემონტის ჩატარების და სკოლაზე პავილიონის ტიპის სასადილოს მიშენების ტექდოკუმენტაცია, რომელიც უნდა დამუშავდეს კომპლექსურად № 54 სასკოლო შენობაზე საკლასო ოთახების მიშენების პროექტთან ერთად და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს განსახილველად.

მიშენება-დაშენების სამუშაოები გაითვალისწინოს 1964-1965 წლებში სკოლების რემონტისათვის დაშვებული თანხებიდან.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რათა ქ. თბილისის მარცხენა ნაპირის ტრესტმა მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლის სამზარეულო-სასადილოს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შეურჩიოს საუკეთესო მომსახურე პერსონალი (მზარეული, დამხმარე პირები).

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ № 2 გახანგრძლივებულ დღის სკოლაში მომხდარი შემთხვევა მოსწავლე ტაბატაძის დაშავების შესახებ განხილულ იქნა პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე და დამნაშავეებს დაედოთ სათანადო სასჯელი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 16 აპრილის ბრძანება № 430

სკოლა-ინტერნატებში სამეურნეო-ტექნიკური დანადგარების მიღების, დამონტაჟებისა და გამოყენების შესახებ

ადგილებზე შემოწმებით გამოირკვა, რომ სკოლა-ინტერნატებში უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით არის შეტანილი სხვადასხვა სახის ტექნიკური დანადგარები და მანქანები, როგორიცაა: სარეცხი მანქანა, მაცივარი, ბოსტნეულის საჭრელი, ჭურჭლის სარეცხი, კარტოფილის საფცქვნელი და სხვა.

რიგ სკოლა ინტერნატში დანადგარები მიღებულია, დამონტაჟებულია და დაუბრკოლებლად მუშაობს, როგორც მაგალითად, თბილისის № 3, კასპის, გლდანის № 1 და გურჯაანის სკოლა-ინტერნატებში.

მაგრამ არის სკოლა-ინტერნატები, რომლებსაც დანადგარები აკლიათ, ან მიღებული აქვთ, მაგრამ დაუმონტაჟებელია, ან დამონტაჟებულია და არ მუშაობს ცუდი მოვლის გამო, მაგალითად, ქუთაისის № 3 სკოლა-ინტერნატს (დირექტორი ბ. კაკაბაძე) არა აქვს დამონტაჟებული სარეცხი მანქანა და ჭურჭლის სარეცხი დანადგარი; ქუთაისის პირველ სკოლა-ინტერნატს (დირექტორი გ. ბურჯანაძე) ცენტროფუგა და ელექტროქურა არა აქვს დამონტაჟებული, ხოლო სარეცხი მანქანა დამონტაჟებულია, მაგრამ მოუვლელობით გაფუჭებულია. ასეთივე მდგომარეობაა გლდანის № 2 და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებში, სახელდობრ მათ დამონტაჟებული აქვთ სარეცხი მანქანები, მაცივრები, ელექტრომადუღრები, ცენტროფუგა, მაგრამ ვერ იყენებენ ცუდი ხმარების გამო.

არის სკოლა-ინტერნატები, რომელთაც პირობების უქონლობის გამო მიღებული დანადგარები გამოუყენებელი უწყვიათ, მაგალითად, გულრიფშის სკოლა-ინტერნატს, ელდენის უქონლობის გამო, სარეცხი მანქანა და ელექტროქვაბი უმოქმედოდ აქვს.

რიგ სკოლა-ინტერნატებში მოუვლელობის გამო არ მუშაობს მაცივარი, კარტოფილის საფცქვნელი მანქანა, საუთოო მანქანა (ინგირის, ახალსოფლის, გლდანის № 2).

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატს, ძალზე მცირე რაოდენობით ან სრულებით არა აქვს სხვადასხვა დანადგარები, მაგალითად, ქუთაისის № 3 სკოლა-ინტერნატს არა აქვს ცენტროფუგა, სარეცხის საშრობი, საუთოო მანქანა, ელექტროქვაბი, ელექტროქურა, ბოსტნეულის საჭრელი, პურის საჭრელი, კარაქის საჭრელი, იატაკის საპრიალებელი და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობანი.

სკოლა-ინტერნატებში, საათანადო ტექნიკური ზედამხედველობის უქონლობის გამო, დანადგარები ხშირად გამოდის წყობილებიდან და შემდეგ მათი აღდგენა შეუძლებელიც ხდება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატის დირექტორებს:

ა) მიღებული დანადგარები უახლოეს დროში დაამონტაჟონ და გაუშვან ექსპლოტაციაში;

ბ) დამონტაჟებულ ტექნიკურ მოწყობილობას მოეპყრან საუთუთად და არ დაუშვან მოუვლელობით მათი გაფუჭება;

გ) შეიძინონ ყველა საჭირო დანადგარები.

2. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (უფროსი ს. არველაძე) უზრუნველყოს ყველა სკოლა-ინტერნატი მათთვის საჭირო დანადგარებით.

3. საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს სკოლა-ინტერნატებისათვის ინჟინრის ერთი საშტატო ერთეული ტექნიკური დანადგარების მუშაობისათვის ზედამხედველობის გასაწევად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 17 აპრილის ბრძანება № 437

თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ თეთრ წყაროსა და ახალქალაქის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

სუსტად მუშაობენ შემოწმებული სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები. შესწავლილი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის ზოგიერთი მასწავლებელი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, გულდასმით არ ემზადება გაკვეთილისათვის, სათანადო აღმზრდელობით მუშაობას არ ატარებს მოსწავლეთა შორის, რის გამო მოსწავლეთა ცოდნის დონე ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში მეტად დაბალია.

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასმული ამოცანების განსახორციელებლად საკმაო ღონისძიებებს არ ატარებენ თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. ქ. ცხვედიანი და კ. კარახანიანი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თეთრი წყაროსა და ახალქალაქის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი, სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით,

განხილულ იქნეს აღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს რ. ტ. კარსლიანს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო მიეთითოს.

3. საღამოს (ცვლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორებმა საგაზაფხულო გამოცდების დაწყებამდე წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები.

4. თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ქ. ცხვედიანმა და კ. კარახანიანმა):

ა) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის მომავალ, 1964-65 სასწავლო წლიდან გაათავისუფლონ სამუშაოდან თეთრ წყაროს რაიონის ერტილისა და ახალქალაქის რაიონის დილისკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების დირექტორები ი. აღდგომელაშვილი და და ა. ნახადაგიანი;

ბ) ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნ. თ. სტამბოლციანი, როგორც არასპეციალისტი, ახალი სასწავლო წლიდან განთავისუფლდეს სამუშაოდან;

გ) გადაჭრით გააძლიერონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და დაუსწრებელი სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა, კონტროლი და 1964 წლის 15 ივლისამდე განათლების სამინისტროს მოახსენონ მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ;

დ) მომავალი სასწავლო წლიდან უზრუნველყონ სწავლისგარეშე დარჩენილი ყველა მომუშავე ახალგაზრდის ჩაბმა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

5. ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებას (ამხ. რ. კანდელაკი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. მ. ლაშქარაშვილს

თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადამ სასკოლო ინსპექტორების ზურაბ ივანეს ძე რატიშვილის, ვლადიმერ ყაისარის ძე ტულუშის, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტების თენგიზ არტემის ძე გოდაბრელიძისა და ვალერიან ლავრენტის ძე ქარდავას შემადგენლობით მიმდინარე წლის მარტის 1-ლ ნახევარში შეისწავლა თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. შესწავლილ იქნა თეთრი წყაროს მუშა ახალგაზრდობის, ამავე რაიონის ერტისისა და ასურეთის სოფლის ახალგაზრდობის, ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკისა და დილისკის სოფლის ახალგაზრდობის, ახალქალაქის მუშა ახალგაზრდობის და დაუსწრებელი საშუალო სკოლების მუშაობა.

დასახელებული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შეინიშნება ერთგვარი წარმატებანი. სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, სისტემატურად მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული დონის ასამაღლებლად.

თეთრი წყაროს რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ქ. ცხვედიანი) 1963 წლის IV კვარტალის სამუშაო გეგმით შეუმოწმებია მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-

აღმზრდელობითი მუშაობა და მიუღია სათანადო ღონისძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა თეთრი წყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი პ. კიბალნიჩენკო, სასწავლო ნაწილის გამგე ნ. ა. ჯიბლაძე) ჯეროვან ყურადღებას აქცევენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვას, მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლის, დახმარებისა და ხელმძღვანელობის განხორციელებას, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და სხვა.

სკოლის დირექტორს პ. მ. კიბალნიჩენკოს მოსმენილი და სათანადოდ გაფორმებული აქვს 52 გაკვეთილი, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. ა. ჯიბლაძეს, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშნულია 1964 წლის იანვარში—22 გაკვეთილი.

სკოლის წლიური და კლასის ხელმძღვანელების მეოთხედურ სამუშაო გეგმებში ასახულია ამ ტიპის სკოლების სპეციფიკურობა. დამაკმაყოფილებლად მუშაობს პედაგოგიური საბჭო, რომლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი შესრულებულია; დამაკმაყოფილებლად მუშაობენ კლასის ხელმძღვანელები; წესრიგშია საკლასო ჟურნალები; მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები; აგრეთვე წესრიგშია საშუალო განათლების ატესტატებისა და 8 კლასის დამთავრების მოწმობების აღრიცხვისა და გაცემის წიგნი და სხვ.

დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი ს. მანაშვილი). საშინაო დავალების აღრიცხვისას თემის „მსოფლიო კოლონიური სისტემის დაშლა“ მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს. მოსწავლეთა დიდი ნაწილი კარგად აჩვენებდა რუკაზე კოლონიზატორებისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფოებს ინდოეთს, ინდონეზიას, კარგად ერკვეოდნენ მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებში და სხვა.

ასევე დამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია თეთრი წყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული სექტორის X კლასში. (მასწავლებელი რ. მიკირტუმაშვილი). ისტორიის მასწავლებლები ს. მანაშვილი და რ. მიკირტუმაშვილი გარკვეული არიან ამ ტიპის სკოლების თავისებურებებში, გაკვეთილებზე იყენებენ სათანადო თვალსაჩინოებას და რაც მთავარია, გაკვეთილზე ეს ახერხებენ ახალი მასალის განმტკიცებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, თეთრი წყაროსა და ახალქალაქის რაიონების საღამოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით და სასკოლო-საორგანიზაციო მუშაობაში შეინიშნება სერიოზული, ობიექტურ ბითი ხასიათის ნაკლოვანებები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. ახალქალაქის რაიონის დილისკის სოფლის ახალგაზრდობის სკოლას არ ჰქონდა წლიური სამუშაო გეგმა, ხოლო თეთრი წყაროს რაიონის ერტისისა და ასურეთის სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში არ იყო ასახული ამ ტიპის სკოლების მუშაობის სპეციფიკა.

ახალქალაქის მუშა ახალგაზრდობის, ბოგდანოვკისა და დილისკის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა შემოიფარგლება გეგმების შედგენით. სამუშაო გეგმებში მოცემული საკითხები ზოგადია და არაფრისმთქმელი, ამასთან არცერთი მათგანი არ არის შესრულებული. ასევე არადამაკმაყოფილებელია თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა. აქ მოუვლელია საკლასო ჟურნალები, არ ჯამდება მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილები, ზოგი მასწავლებელი განზრახ არ ახდენს მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვას. 1964 წლის 1 ნახევარში სკოლაში გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა 1124 აღწევს.

ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის, დილისკისა და თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს არ გააჩნიათ მასწავლებელთა პირადი საქმეები, წესრიგში არაა 8 კლასის დამთავრების მოწმობების აღრიცხვისა და გაცემის წიგნი. გასულ, 1962/63 სასწავლო წელს ბოგდანოვკის სკოლის VIII კლასი დაუმთავრებია 6 მოსწავლეს, თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VIII კლასი—5 მოსწავლეს, მაგრამ მოწმობის მიღებაზე მხოლოდ ერთ მოსწავლეს აქვს ხელი მოწერილი.

თეთრი წყაროს რაიონის ერტისისა და ასურეთის, ახალქალაქის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის დილისკისა და ბოგდანოვკის საშუალო სკოლებში ჩამოყალიბებული არაა მუდმივ მოქმედი ხელშემწყობი კომისიები. აღნიშნულ სკოლებს არ გააჩნიათ მოსწავლეთა მოძრაობის წიგნები, კლასებში არაა საორგანიზაციო კუთხეები.

სუსტია ხელმძღვანელობა და კონტროლი თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორს ი. აღდგომელაშვილს მოსმენილი აქვს მხოლოდ 4 გაკვეთილი.

შესწავლილ სკოლებში მოუგვარებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, ახალქალაქისა (დილისკის) და თეთრი წყაროს (ერტისის) რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში X-XI კლასის მოსწავლეების დიდი ნაწილი მიმდინარე სასწავლო წელს ჩარიცხული არიან ყოველგვარი საბუთების გარეშე. მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ გააჩნია 8 კლასის დამთავრების მოწმობები, ცნობები სამუშაო ადგილიდან და დაბადების მოწმობები.

სკოლებში არაა შექმნილი საგნობრივი და კლასის ხელმძღვანელთა მეთოდკომისიები.

ახალქალაქის რაიონის დილისკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლას არ გააჩნია პედსაბჭოს სამუშაო გეგმა, სკოლაში არაა ჩატარებული პედსაბჭოს არც ერთი სხდომა. ამ სკოლას არ გააჩნია სასკოლო დოკუმენტაცია, გარდა ატესტატების გაცემის წიგნისა.

არადამაკმაყოფილებელი იყო მოსწავლეთა დასწრება თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში. ერტისის საშუალო სკოლის X კლასის 29 მოსწავლიდან პირველ გაკვეთილზე გამოცხადდა მხოლოდ 8 მოსწავლე, ამათგან დაგვიანებით გამოცხადდა 4 მოსწავლე. უფრო მეტიც: ამ სკოლის VII და VIII კლასის მოსწავლეები III და IV გაკვეთილებიდან მთლიანად გაიპარნენ. მოსწავლეთა დასწრების მხრივ ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. ამ სკოლის X კლასის რვა მოსწავლიდან გაკვეთილს ესწრებოდა მხოლოდ 3 მოსწავლე.

საღამოს სკოლებში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმით უნდა აიხსნას, რომ როგორც თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სკოლის დირექტორს ი. აღდგომელაშვილს, ისევე ახალქალაქის რაიონის დილისკის სკოლის დირექტორს ა. ნახადაგიანს აკლიათ საჭირო გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეთრი წყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული სექტორის კლასები დაუტვირთავია, თუმცა სკოლის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ წარმოება დაწესებულებებში, ავტო-სატრანსპორტო კანტორასა და საგზაო განყოფილებაში, და დაბა თეთრ წყაროში აღრიცხულია თითქმის 150 სწავლებაში ჩაუბმელი ახალგაზრდა. ჩვენ ვთხოვეთ თეთრი წყაროს რაიონის აღმასკომს დახმარება გაუწიოს განათ-

ლების განყოფილებასა და სკოლას მომავალი სასწავლო წლიდან ამ ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის საქმეში.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს ამავე რაიონის ასურეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი მ. ჯმუხაძე). სახალხო მეურნეობის გეგმით მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა უნდა დაკომპლექტებულიყო 4 კლასითა და 37 მოსწავლით, ფაქტიურად მუშაობს ორი კლასი 14 მოსწავლით. 1963 წლის სექტემბერში მოსწავლეთა სიმცირის გამო დაიხურა IX და X კლასები.

ერტისის საშუალო სკოლის მასწავლებელთა ნაწილი არასპეციალობის მიხედვით მუშაობს. სკოლის დირექტორი ი. აღდგომელაშვილი სპეციალობით ისტორიკოსია, მაგრამ ასწავლის გეოგრაფიას, ამასთან არ იცნობს საპროგრამო მასალას, არაა დაუფლებული გეოგრაფიის საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. ბიოლოგიას VII IX კლასებში ასწავლის მასწავლებელი ნ. ბ. მანთაშაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი. ამავე სკოლის VII კლასში ქართულ ენას ასწავლის ს. ბ. ზაკუტოვი, რომელსაც აგრეთვე დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალქალაქისა და თეთრი წყაროს რაიონების ბოგდანოვკისა და ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მასწავლებლები ნ. სტამბოლციანი, ნ. მანთაშაშვილი, და ს. ზაკუტოვი ამ სკოლებში მუშაობენ განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე.

ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ

დამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის სოფლის ახალგაზრდობის, (მასწავლებელი გ. გოგობერიშვილი), ახალქალაქის მუშა ახალგაზრდობის (მასწავლებლები მ. კარტოშიანი, ლ. კაროიანი) და ბოგდანოვკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში (მასწავლებელი ა. მანუკიანი). ისინი გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, მომზადებული ატარებენ გაკვეთილებს, ჯეროვან ყურადღებას უთმობენ გაკვეთილებზე თვალსაჩინოების გამოყენებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ნორმის დაცვით ატარებენ საკონტროლო წერებს, წერის მასალა დოზირებულია, გასწორების ხარისხი და მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ რიგ სკოლებში მათემატიკის სწავლება ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ალგებრა ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. თ. სტამბოლციანი). იგი ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს. ჩამორჩენა აქვს საპროგრამო მასალის გავლაში.

ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება გეომეტრია თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობისა (მასწავლებელი გ. მანთაშაშვილი) და თეთრი წყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში (მასწავლებელი ი. ლაზოვი). სკოლების მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ალგებრაში და გეომეტრიაში. თეთრი წყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ი. ლაზოვს VIII კლასში არ შეუმოწმებია საშინაო დავალების შესრულება, მთელ გაკვეთილზე მხოლოდ ერთი ამოცანა ამოხსნა. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ამავე მასწავლებლის ალგებრის გაკვეთილზე X კლასში. გაკვეთილებზე უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა და ზეპირი ვარჯიში. მასწავლებელი ლაზოვი გულდასმით არ ასწორებს საკონტროლო წერის რვეულებს და რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებას. XI კლასის საკონტროლო წერით ნამუშევრებში ნახაზები არაზუსტია და შესრულებულია მელნით.

X კლასის მოსწავლეს ე. ს—ს უწერია:

„$Dc^2 = 6^2$ см $+ 160^2$ см

$Dc = \sqrt{36 \text{ см}^2 + 160 \text{ см}^2}$

$Dc = \sqrt{196 \text{ см}^2} = 14$ см

$Dc = 14$ см“

მასწავლებელს ვერ შეუმჩნევია შეცდომები და ნაშრომი შეუფასებია „4“-ზე. ასევე VII კლასის მოსწავლეს ს. ტ.—ს 5 მაგალითიდან გამოუყვანია ორი მაგალითი, ორში დაშვებული აქვს შეცდომები, ხოლო ერთი მაგალითი სრულებით არ დაუწერია. ეს ნამუშევარი შეფასებულია „4“-ზე.

მეთოდურად გაუმართავი გაკვეთილი ჩაატარა გეომეტრიაში თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის XI კლასში მასწავლებელმა გ. მანთაშაშვილმა. გაკვეთილის დაბალი ხარისხი იმანაც განაპირობა, რომ 13 მოსწავლიდან გაკვეთილს ესწრებოდა მხოლოდ 4. მასწავლებელს არ მოუ-

ხდენია საშინაო დავალების შესრულების შემოწმება; არ შეუფასებია არც ერთი მოსწავლე, სავსებით უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. მთელი გაკვეთილის განმავლობაში ამოხსნეს მხოლოდ ერთი ამოცანა და ისიც თვით მასწავლებლის აქტიური მონაწილეობით. საშინაო დავალება კლასისათვის მასწავლებელს არ მიუცია.

უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხედური შედეგების მიხედვით ამ კლასის აკადემიური მოსწრება 100 %-ია, რაც, ცხადია, არ შეეფერება ფაქტიურ მდგომარეობას.

დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი პ. ი. ვლასოვი). კითხვის დროს მოსწავლეები უშვებენ ენობრივ შეცდომებს. მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის მასწავლებელს დასჭირდება დიდი ინდივიდუალური შრომის გაწევა. კლასის მოსწავლეთა დაბალი მომზადების მიზეზად მოსწავლეთა გაკვეთილებზე არადამაკმაყოფილებელი დასწრებაც უნდა ჩაითვალოს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა თეთრი წყაროს რაიონის ერტისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IX—XI კლასებში (მასწ. გ. ბარძიმაშვილი). მოსწავლეებს უძნელდებათ მარტივი წინადადებების შედგენა; გრამატიკის გაკვეთილებზე მასწავლებელი არ ცდილობს შეათვისებინოს მოსწავლეებს გრამატიკული წესები, კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ მოსწავლეები იზეპირებენ წესებს და მაგალითები მოჰყავთ მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნიდან. საკონტროლო წერის რვეულების შემოწმებით გამოირკვა, რომ წერითი სამუშაოების ტექსტები არ შეესაბამება შესწავლილ ლიტერატურულ და გრამატიკულ მასალას, საკონტროლო წერის რვეულები სწორდება და მოსწავლეებს უბრუნდება დაგვიანებით.

სასკოლო ინსპექტორი **ზ. რატიშვილი**

3/IV—64 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 18 აპრილის ბრძანება № 442

XVI რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და XVII კონფერენციისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ XVI რესპუბლიკური სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენცია ორგანიზებულად ჩატარდა. მის მუშაობაში წინანდებურად აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, სიღნაღის რაიონების სკოლების მასწავლებლებმა და სახალხო განათლების სხვა მუშაკებმა, აგრეთვე ახლად გამოყოფილი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ზუგდიდისა და თელავის ბევრმა სკოლამ. წინა წლებისაგან განსხვავებით ამ ღონისძიებაში წელს შედარებით აქტიურად ჩაებნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთი რაიონის, ქ. რუსთავის, მცხეთისა და სამტრედიის რაიონების სკოლების მუშაკები.

რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში 1963 და 1964 წლების იანვარში ჩატარებული „პედაგოგიური კითხვის" საფუძველზე პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა მიიღო 600-ზე მეტი მოხსენება, რომელთაგან 18 სექციაში წასაკითხად დაიშვა 360 მოხსენება.

სექციებში წაკითხული მოხსენებები გამომდინარეობენ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის იმ აქტუალური პრობლემებიდან, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ სახალხო განათლების განვითარების ახლანდელ ეტაპზე არის დაყენებული სკოლისა და პედაგოგიური მეცნიერების წინაშე. მოხსენებებში აისახა მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის გამოცდილება კომუნისტური სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის, სწავლების შინაარსის განსაზღვრის, მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების, შრომითი—პოლიტექნიკური სწავლების მეთოდების სრულყოფის, სხვადასხვა ტიპის სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა, საღამოს (ცვლის) და გახანგრძლივებული დღის სკოლებში სასწავ-

ლო-საალმზრდელო მუშაობის სპეციფიკის განსაზღვრის, დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა, პიონერხელმძღვანელთა მუშაობის გაუმჯობესების, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის სრულყოფის საკითხებში. ფართოდ იქნა განხილული ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების აქტუალური საკითხები.

ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ კონფერენციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს.

ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე თითო მოხსენებით წარმოდგა ცხაკაიასა და ახალციხის რაიონები. კონფერენციის მუშაობაში სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა ახალქალაქის, ბორჯომის, გურჯაანის, დუშეთის, მარნეულის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ჯავის, ოჩამჩირის რაიონებს და ქ. ტყვარჩელს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ამ რაიონებისა და ქალაქების განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ადგილებზე „პედაგოგიური კითხვის" მაღალ დონეზე ჩატარების საქმეს.

ახალქალაქისა და ჯავის რაიონების სკოლების შესახებ წინა კონფერენციებთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებაშიც არის ლაპარაკი, მაგრამ განათლების განყოფილებებს აქედან სათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ.

კონფერენციის მუშაობაში არადამაკმაყოფილებლად მონაწილეობდნენ გახანგრძლივებული დღის კლასებისა და სკოლების მუშაკები.

პედაგოგიკის სექციაში, რომელმაც საერთოდ ნაყოფიერად იმუშავა, არც ერთი მოხსენება არ იყო წარმოდგენილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საბავშვო კინო სურათებისა და თეატრალური დადგმების პედაგოგიური ღირებულება, სქესობრივი აღზრდა და სხვ.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სექციაში ცოტა იყო მოხსენებები არითმეტიკის სწავლების შესახებ. არცერთი მოხსენება არ წაკითხულა დაწყებით კლასებში ბუნებისმცოდნეობისა და ისტორიის სწავლების საკითხებზე.

ძალზე გადატვირთული იყო პედაგოგიკის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების სწავლების მეთოდიკებისა და ზოგიერთი სხვა სექციის დღის წესრიგი.

ადგილებზე „პედაგოგიური კითხვისა" და XVII რესპუბლიკური სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენციის სათანადოდ მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად

ვბრძანებ

1. 1965 და 1966 წლების იანვრის „პედაგოგიური კითხვისა“ და 1965 წლის რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პედაგოგიური მეცნიერების აქტუალური საკითხების დამუშავებასა და მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების განზოგადებას.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ამ ბრძანების მიღებისთანავე დასახონ სათანადო ღონისძიებანი „პედაგოგიურ კითხვაში“ მასწავლებელთა მასობრივი ჩაბმის უზრუნველსაყოფად; პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტს საუკეთესო მოხსენებებთან ერთად ყოველწლიურად გამოუგზავნონ მოკლე წერილობითი ანგარიში „პედაგოგიური კითხვის“ ჩატარების შედეგების შესახებ. ანგარიშში აისახოს: რომელი სექციები შეიქმნა, რამდენი მოხსენება წარმოადგინეს სკოლებმა და რამდენი დაიშვა „პედაგოგიურ კითხვაზე“, რა მუშაობა ტარდება მასწავლებლის მიერ მოხსენებათა მაღალ დონეზე დაწერის უზრუნველსაყოფად, მომავალში მუშაობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული წინადადებები და სხვ.

3. პედაგოგიკის მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიურ საზოგადოებასთან ერთად, სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ განათლების ადგილობრივ ორგანოებს „პედაგოგიური კითხვისათვის“ მოხსენებების შერჩევასა და მომზადებაში და „პედაგოგიურ კითხვას“ დაასწრონ თავიანთი წარმომადგენლები.

4. ახალქალაქის, ბორჯომის, გურჯაანის, დუშეთის, მარნეულის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ჯავის, ოჩამჩირის, ქ. ტყვარჩელის, აგრეთვე ცხაკაიასა და ახალციხის რაიონების განათლების განყოფილებებმა ა/წლის 15 მაისამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ახსნა-განმარტება კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობისა და იმ ზომების შესახებ, რომლებსაც ისინი ამთავითვე მიიღებენ მომავალ „პედაგოგიურ კითხვასა“ და რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაში მასწავლებელთა მასობრივად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

5. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა საქართველოს სსრ პედაგოგიურ საზოგადოებასთან ერთად სკოლისა და პედაგო-

გიკის მეცნიერებათა წინაშე მდგომი ახალი ამოცანების შესაბამისად გადაამუშაოს „პედაგოგიური კითხვის“ საორიენტაციო თემატიკა და მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაუგზავნოს იგი განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) მიიღოს ზომები პრაქტიკოს მასწავლებელთა საუკეთესო მოხსენების გამოსაქვეყნებლად.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ კონფერენციაზე წაკითხული საუკეთესო მოხსენებები და ფართოდ გააშუქონ მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და XVII რესპუბლიკური კონფერენციისათვის მზადების საკითხები.

8. საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს სექციების არა სამდღიანი, არამედ უფრო ხანგრძლივი მუშაობა, იმ ვარაუდით, რომ თვითეულ სხდომაზე იკითხებოდეს არაუმეტეს 4-5 მოხსენებისა.

9. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საქმეთა კომიტეტის წინაშე, დაავალოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ხელმძღვანელობას, რათა შესაბამისი კათედრების მუშაკები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ „პედაგოგიურ კითხვასა“ და სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენციების მუშაობაში.

10. XVI რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილ საუკეთესო მოხსენებებისათვის განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს 68 მასწავლებელი და მადლობა გამოეცხადოს 110 მასწავლებელს (იხ. დანართი).

11. დაისვას საკითხი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის, აგრეთვე მათი ადგილობრივი ორგანოების წინაშე, რათა ტურისტული საგზურების გაცემისას ისინი პირველ რიგში მხედველობაში იღებდნენ „პედაგოგიურ კითხვასა“ და რესპუბლიკურ კონფერენციებში მასწავლებელთა მონაწილეობას.

12. ეს ბრძანება დანართითურთ გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების უახლოეს ნომერსა და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა მორიგ კრებულში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

XVI რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილ საუკეთესო მოხსენებისათვის დაჯილდოვდნენ:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით:

პედაგოგიკის სექტორიდან

1. გოგიჩაიშვილი კარლო კონსტანტინეს ძე—ბათუმის 23-ე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე
2. რატიანი ნანული აპოლონის ასული—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი
3. ხინთიბიძე მიტო კალისტრატეს ძე—ბათუმის მე-14 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში.

სკოლა-ინტერნატების სექციიდან

1. ხაშბა რიმა არსენის ასული—სოხუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი
2. კალანდია ნარგიზა ალექსანდრეს ასული—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე.
3. ბოჭორიშვილი მარიამ ირაკლის ასული—ქუთაისის მე-2 სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე.

პიონერული და სკოლისგარეშე მუშაობის სექციიდან

1. კარაგიოზოვი კოსტანტინე ივანეს ძე—თბილისის 44-ე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი
2. სოკოლოვა ნინო ვალერიანის ასული—რუსთავის მე-4 სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სექციიდან

1. ფუთურიძე ბაია ბიძინას ასული—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი
2. ყურაშვილი ცისანა დიმიტრის ასული—ცაგერის რაიონის ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი
3. რუხაძე მარიამ ემელიანეს ასული—ქუთაისის 30-ე სკოლის მასწავლებელი
4. თარგამაძე ჭენია ნესტორის ასული—საჯავახოს საშუალო სკოლის მასწავლებელი
5. მონიავა ეთერი გიორგის ასული—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი.

სკოლამდელი აღზრდის სექციიდან

1. გვერდწითელი თამარ ივანეს ასული—სოხუმის მე-2 საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელი.

მხატვრული აღზრდის სექციიდან

1. ბურჯუნაძე თამარ ვასილის ასული—ჭიათურის მე-3 სკოლის მასწავლებელი
2. ქართველიშვილი ლოლა პართენის ასული—მახარაძის მე-2 სკოლის მასწავლებელი
3. ქორქია ანასტასია ბათლომეს ასული—ფოთის მე-2 სკოლის მასწავლებელი
4. რევაზიშვილი ეთერი გაბრიელის ასული—წყნეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ფიზიკური აღზრდის სექციიდან

1. მჭედლიშვილი მიხეილ გიორგის ძე—თბილისის 23-ე სკოლის მასწავლებელი
2. გომერი ლეონ მარსელის ძე—თბილისის 63-ე სკოლის მასწავლებელი.

საღამოს (ცვლის) სკოლების სექციიდან

1. მთვარელიშვილი იოსებ რომანის ძე—თელავის საღამოს (ცვლის) სკოლის დირექტორი
2. ავდიშვილი მარგალიტა არჩილის ასული—ზესტაფონის საღამოს (ცვლის) 1-ლი სკოლის მასწავლებელი
3. ცერცვაძე ვახტანგი ელისეს ძე—ქუთაისის საღამოს (ცვლის) მე-7 სკოლის მასწავლებელი

4. ფანქველიშვილი კარლო გიორგის ძე—სურამის საღამოს (ცვლის) სკოლის დირექტორი

5. გაჩეჩილაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე—თბილისის 23-ე საღამოს (ცვლის) სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. კორძახია ქსენია რაჟდენის ასული—გალის რაიონის ჭუბურხინჯის სკოლის მასწავლებელი

2. ცირეკიძე ჟუჟუნა სამოელის ასული—ბათუმის მე-3 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

3. ყუშიტაშვილი ელისო მიხეილის ასული—თელავის მე-5 სკოლის მასწავლებელი

4. ხადური ლიდა იოსების ასული—გორის მე-11 სკოლის მასწავლებელი

5. ბიბილეიშვილი იური აქვსენტის-ძე—ხულოს რაიონის ღორჯომის სკოლის მასწავლებელი

6. მელაძე ივერი ონისიმეს-ძე—აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი

7. სოხაძე ლუბა კონდრატეს ასული—თბილისის 39-ე სკოლის მასწავლებელი

8. ბერძენიშვილი სოფიო ერმალოს ასული—თბილისის 118-ე სკოლის მასწავლებელი

9. ცხვედიანი თამარი ივანეს ასული—ქუთაისის მე-12 სკოლის მასწავლებელი.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ხოტელაშვილი ლიუდმილა ალექსანდრეს ასული—თბილისის მე-18 სკოლის მასწავლებელი

2. გასპარაშვილი ვიოლეტა ილიას ასული—თბილისის 48-ე სკოლის მასწავლებელი

3. ასლიბეკოვა დინა დანიელის ასული—რუსთავის მე-2 სკოლის მასწავლებელი

4. გიორგობიანი ნელი სერგოს ასული—თბილისის 88-ე სკოლის მასწავლებელი

5. გამყრელიძე ნათელა შალვას ასული—თბილისის 23-ე სკოლის მასწავლებელი

6. ბარანცევიჩი ვანდა ბიკენტის ასული—თბილისის მე-6 სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ენების სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. სხილაძე ვარლამ მიხეილის ძე—თბილისის მე-10 სკოლის მასწავლებელი

2. დოლიძე ჯუმბერ ვლადიმერის ძე—ქუთაისის 26-ე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ისტორიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. გოგოხია ლეონტი ზოსიმეს ძე—თბილისის 85-ე სკოლის მასწავლებელი

2. თავართქილაძე შალვა ტარასის ძე—მახარაძის რაიონის ბახვის სკოლის მასწავლებელი

3. გულია ადა მიხეილის ასული—სოხუმის მე-10 სკოლის მასწავლებელი

4. შავგულიძე შიო ირაკლის ძე—ქუთაისის მე-2 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

5. ზექალაშვილი ვლადიმერ სევერიანის ძე—გორის მე-2 სკოლის მასწავლებელი

6. ქანდარია გულნარა სიმონის ასული—ქუთაისის 25-ე სკოლის მასწავლებელი.

გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. აბრამოვა მარიამ ნიკოლოზის ასული—ზესტაფონის 1-ლი სკოლის მასწავლებელი

2. ბუცხრიკიძე გიორგი ივლიანეს ძე—ზესტაფონის რაიონის ჩხარის სკოლის მასწავლებელი

3. შალამბერიძე თამარ გიორგის ასული—ქუთაისის მე-2 სკოლის მასწავლებელი

4. თავაძე ავლინა ეტიფოს ასული—რუსთავის მე-2 სკოლის მასწავლებელი

5. ჭეიშვილი შუქურა ტიხონის ასული—თბილისის 88-ე სკოლის მასწავლებელი

6. კაკაბაძე ივანე ვასილის ძე—თბილისის 77-ე სკოლის მასწავლებელი.

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ხავთასი ანტონინა ლავრენტის ასული—ბათუმის მე-3 სკოლის მასწავლებელი

2. გონდაური დავით ზაქარიას ძე—თბილისის 77-ე სკოლის მასწავლებელი

3. ბაკურაძე შოთა რაჟდენის ძე—თბილისის პუშკინის სახელ-ლობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტი

4. ბუაძე ალექსანდრე პოლევქტის ძე—თბილისის მე-60 სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. პესოჩინსკი იური ბორისის ძე—სოხუმის მე-5 სკოლის მასწავლებელი

2. სურგულაძე ელენე გიორგის ასული—პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტი.

ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. აბრამიშვილი დომენტი ვასილის ძე—თელავის რაიონის რუისპირის სკოლის მასწავლებელი

2. გურგენიძე გივი აკაკის ძე—ჩაქვის რაიონის ხელვაჩაურის სკოლის მასწავლებელი

3. წილოსანი სერგო სერგოს ძე—ქუთაისის მე-18 სკოლის მასწავლებელი.

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. გამყრელიძე პავლე კონსტანტინეს ძე—თბილისის მე-16 სკოლის მასწავლებელი

2. ჯიქიძე თამარ გრიგოლის ასული—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი

3. ნალბანდიანი მიხეილ გრიგოლის ძე—თბილისის 25-ე სკოლის მასწავლებელი.

შრომითი პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. უთხელიშვილი ივანე გიორგის ძე—თბილისის მე-12 სკოლის მასწავლებელი

2. სამარაი ანა სტეფანეს ასული—თბილისის 81-ე სკოლის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამოეცხადოთ მადლობა:

პედაგოგიკის სექციიდან

1. კუტალიას ციცინო სამსონის ასულს—ზუგდიდის რაიონის პირველი მაისის სკოლის ბიბლიოთეკარს

2. ჩიღოშვილს ტასო შიოს ასულს—მცხეთის რაიონის მისაქ-ციელის სკოლის მასწავლებელს

3. კუპატაძეს ბაბულიას სპირიდონის ასულს—ზესტაფონის მე-3 სკოლის დირექტორს

4. ჯანჯღავას არტემ თედორეს ძეს—სოხუმის 1-ლი სკოლის დირექტორს

5. ხუხუას დიმიტრი ზალიკას ძეს—ფოთის 1-ლი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს

6. ვადაჭკორიას მიხეილ ილიას ძეს—ლანჩხუთის რაიონის არ-ჩეულის ე. ნინოშვილის სახლმუზეუმის დირექტორს.

7. ნებიერიძეს ანტონ ივანეს ძეს—ახალციხის რაიონის პედა-გოგიური კაბინეტის გამგეს

8. დოლიძეს ვალერიან ბიქტორის ძეს—თბილისის მე-2 გა-ხანგრძლივებული დღის სკოლის მასწავლებელს.

სკოლა-ინტერნატების სექციიდან

1. ჭინჭარაძეს მერი გრიგოლის ასულს—სალიბაურის მე-3 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს

2. ქურციკიძეს თამარ ვასილის ასულს—თბილისის მე-2 გა-ხანგრძლივებული დღის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს

3. დანელიას გრიგოლ სილიბისტროს ძეს—სოხუმის მე-2 სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.

პიონერული და სკოლის გარეშე მუშაობის სექციიდან

1. შავგულიძეს ნელი ივანეს ასულს—ქუთაისის მე-7 სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს.

2. თოდუას მიმოზა ილიას ასულს—ზუგდიდის მე-3 სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სექციიდან

1. ბედენაშვილს ნათელა ნიკოლოზის ასულს—თბილისის რკინიგზის მე-2 სკოლის მასწავლებელს

2. მანაგაძეს მარიამ სოლომონის ასულს—ქუთაისის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

3. გვილავას ქსენია ელისეს ასულს—ქუთაისის მე-3 სკოლის მასწავლებელს

4. პაპუნაშვილს ვერა კალენიკეს ასულს—ბათუმის მე-4 სკოლის მასწავლებელს

5. გაბუნიას ეთერ პარმენის ასულს—ქუთაისის მე-7 სკოლის მასწავლებელს

6. ერგენაძეს ელენე ისაკის ასულს—თელავის რაიონის ფშავლის სკოლის მასწავლებელს

7. ხაზარაძეს ვერა ალექსანდრეს ასულს—ქუთაისის მე-3 სკოლის მასწავლებელს

8. გველესიანს დარეჯან ნესტორის ასულს—ქუთაისის მე-11 სკოლის მასწავლებელს

9. ფრუიძეს პელო იაკობის ასულს—ცაგერის რაიონის ალპანის სკოლის მასწავლებელს

10. ჩიხლაძეს კორნელი ივანეს ძეს—შუახევის რაიონის მაწყვალთის სკოლის მასწავლებელს

11. მათიაშვილს მათიკო ალექსანდრეს ასულს—ქუთაისის მე-2 სკოლის მასწავლებელს

12. ჩხაიძეს ზინა ივანეს ასულს—ლანჩხუთის რაიონის მამათის სკოლის მასწავლებელს.

სკოლამდელი აღზრდის სექციიდან

1. ნოვიცკაიას ალექსანდრა დიმიტრის ასულს—თბილისის მე-2 საბავშვო ბაღის აღმზრდელს

2. ვარიადჩენკოს იდა ივანეს ასულს—ბათუმის 1-ლი საბავშვო ბაღის აღმზრდელს

3. მიქაძეს დარეჯან გიორგის ასულს—ბათუმის მე-20 საბავშვო ბაღის აღმზრდელს

4. ბარსკაიას ევდოკია პავლეს ასულს—სოხუმის მე-11 საბავშვო ბაღის აღმზრდელს

5. ბასარიას ნინო დიმიტრის ასულს—გალის მე-4 საბავშვო ბაღის აღმზრდელს

მხატვრული აღზრდის სექციიდან

1. გვაჯიას თამარ მიხეილის ასულს—ფოთის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

2. ბუკიას ნინო ილიას ასულს—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

3. გორდულაძეს თინათინ თეოფანეს ასულს—ქუთაისის 29-ე სკოლის მასწავლებელს

4. ჭილაიას თამარ თედორეს ასულს—თბილისის ბოლოსანოვის თეატრის მუშაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური აღზრდის სექციიდან

1. ბაღდავაძეს მინერი კალისტრატეს ასულს—ლანჩხუთის რაიონის საჯავახოს სკოლის მასწავლებელს.

2. მახარაშვილს დიმიტრი ალექსანდრეს ძეს—თბილისის 64-ე სკოლის მასწავლებელს

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ლომაძეს აგნესა კირილეს ასულს—ქუთაისის მე-18 სკოლის მასწავლებელს

2. ჯაფარიძეს ქეთევან ალექსანდრეს ასულს—ქუთაისის მე-3 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს

3. შველიძეს დარეჯან დავითის ასულს—ზესტაფონის რაიონის შროშის სკოლის მასწავლებელს

4. ექვმაურაშვილს თინა ფირუზას ასულს—თელავის რაიონის სანიორის სკოლის მასწავლებელს

5. სამხარაძეს ვარა ალექსანდრეს ასულს—ქუთაისის მე-4 სკოლის მასწავლებელს

6. ჩქარეულს ირაკლი ყასფოლის ძეს—ყაზბეგის რაიონის გორისციხის სკოლის მასწავლებელს

7. ჯაფარიძეს ალექსანდრე კონსტანტინეს ძეს—თბილისის 57-ე სკოლის მასწავლებელს

8. გველესიანს ეთერი ნიკოლოზის ასულს—ზესტაფონის რაიონის შროშის სკოლის მასწავლებელს

9. კვანტრიშვილს მზია ერმიგონის ასულს—საჩხერის რაიონის ზოდის სკოლის მასწავლებელს

10. შენგელიას სერგო ელიზბარის ასულს— თბილისის 112-ე სკოლის მასწავლებელს.

11. ბარამიძეს ფლორა სევოდის ასულს—ჩაქვის რაიონის ბობოყვათის სკოლის მასწავლებელს

12. ბოქოლიშვილს მანანა ქიტესას ასულს—სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის სკოლის მასწავლებელს.

13. სოსელიას ვლასი კონსტანტინეს ძეს—მაიაკოვსკის რაიონის ფერეთის სკოლის მასწავლებელს

14. ფიფიას დავით ბარლექის ძეს—წალენჯიხის რაიონის ჯვარის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

15. რუხაძეს ვენერა პოლიკარპეს ასულს—ბათუმის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს

16. ხურციძეს ვახტანგ გიორგის ძეს—მაიაკოვსკის რაიონის საპრასიის სკოლის მასწავლებელს

17. ნარიმანოვს ლუსიკა იოსების ასულს—სიღნაღის საშუალო სკოლის მასწავლებელს

18. ღიბრაძეს ანა ვასილის ასულს—ზესტაფონის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

19. ხიდეშელს კონსტანტინე ასლანის ძეს—ამბროლაურის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

20. სიგუას ციალა ილიას ასულს—ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელს

21. ქალიაშვილს ლეილა არჩილის ასულს—ხაშურის მე-2 სკოლის მასწავლებელს

22. ლომაძეს თინა სამუელის ასულს—ჩაქვის სკოლის მასწავლებელს

23. თოლორაიას არისტო ისიდორეს ძეს—ზუგდიდის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ნანავას გივი აკაკის ძეს—ზუგდიდის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

2. კაპანაძეს გრიგოლ ანტონის ძეს—ყვარლის რაიონის ვარდისუბნის სკოლის მასწავლებელს

3. უჩანეიშვილს ნინა ვასილის ასულს—თბილისის 53-ე სკოლის მასწავლებელს

4. კირაკოსიანს აიდა ამალატის ასულს—თბილისის 74-ე სკოლის მასწავლებელს

5. ავეტისოვს ბორის ალექსანდრეს ძეს—თბილისის 104-ე სკოლის მასწავლებელს.

უცხოური ენების სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ბასილაშვილს ეთერ სიმონის ასულს—ფოთის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

2. გელოვანს ბესიკ მელქისედეკის ძეს—თბილისის პედაგოგიკის კაბინეტის მეთოდისტს.

3. ჩხარტიშვილს ჯულიეტა კონსტანტინეს ასულს—ფოთის მე-4 სკოლის მასწავლებელს

4. ჯიქიას გულიზა სერგოს ასულს—სამტრედიის რაიონის კულაშის სკოლის მასწავლებელს

5. დამს მართა იაკობის ასულს—თბილისის 41-ე სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ვასილიევას როზალია კონდრატეს ასულს—კასპის მე-2 სკოლის მასწავლებელს

2. გაბუნიას ლია ალექსანდრეს ასულს—თბილისის 37-ე სკოლის მასწავლებელს

3. მურვანიძეს ნინო აპოლონის ასულს—სიღნაღის სკოლის მასწავლებელს

4. ცაკაშვილს მიხეილ ილიას ძეს—თელავის მე-4 სკოლის მასწავლებელს

5. კვიციანს ანა ბექსოლთანის ასულს—მესტიის რაიონის ბეჩოს სკოლის მასწავლებელს

6. გოგატიშვილს მიხეილ დავითის ძეს—საჩხერის რაიონის ქორეთის სკოლის მასწავლებელს.

გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. გვეტაძეს ნინო დიმიტრის ასულს—ქუთაისის 22-ე სკოლის მასწავლებელს

2. ჭავჭავაძეს დინარა მიხეილის ასულს—გორის რაიონის ქვემო ხვედურეთის სკოლის მასწავლებელს

3. შველიძეს იაშა აკაკის ძეს—ზესტაფონის რაიონის შრომის სკოლის მასწავლებელს

4. დავითაშვილს ნინო ვასილის ასულს—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ბერიშვილს ოთარ ვასილის ძეს—ონის მე-2 სკოლის მასწავლებელს

2. მერკულოვას ოლღა ტერენტის ასულს—სოხუმის მე-14 სკოლის მასწავლებელს

3. ჭანტურიას ამბროსი გიორგის ძეს—თბილისის 126-ე სკოლის მასწავლებელს

4. ბასილაიას მიხეილ ელიზბარის ძეს—ზუგდიდის რაიონის ახალი ხიბულის სკოლის მასწავლებელს

5. ხონელიძეს ლენა სერგოს ასულს—ქუთაისის მე-7 სკოლის მასწავლებელს

6. გამაზოვს ანდრო კონსტანტინეს ძეს—თბილისის 48-ე სკოლის მასწავლებელს

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ბარამიძეს პორფილე გიორგის ძეს—ფოთის მე-2 სკოლის დირექტორს

2. პერტაიას ალექსანდრე ბიქტორის ძეს—ზუგდიდის რაიონის ახალციხის სკოლის მასწავლებელს

3. მანაშეროვს მზია დავითის ასულს—გორის მე-5 სკოლის მასწავლებელს

ქიმიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ვაშაკიძეს სერგო გიორგის ძეს—დიდი ჯიხაიშის სკოლის მასწავლებელს

2. ლორთქიფანიძეს ლილი ონისიმეს ასულს—თბილისის 55-ე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს

3. კვაჭაძეს ნინო ვასილის ასულს—მცხეთის სკოლის მასწავლებელს

4. გვარლიანს თინა გიორგის ასულს—მესტიის სკოლის მასწავლებელს

5. ვარშანიძეს სემაედ შუქრის ასულს—ბათუმის მე-8 სკოლის მასწავლებელს

6. რატიანს დავით ლუკას ძეს—თბილისის 39-ე სკოლის მასწავლებელს.

7. დანელიას მადლენა კაპიტონის ასულს—თბილისის 30-ე სკოლის მასწავლებელს

8. ფაიქიძეს მამია მიხეილის ძეს—მაიაკოვსკის რაიონის ი-წ თელხევის სკოლის მასწავლებელს

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციიდან

1. ხვინგიას ნინო გიორგის ასულს—სოხუმის მე-10 სკოლის მასწავლებელს

2. ელბაქიძეს მარიამ იასონის ასულს—გორის რაიონის ქვემო ხედურეთის სკოლის მასწავლებელს

3. ცინცაძეს ნორა ბეგლარის ასულს—თბილისის 46-ე სკოლის მასწავლებელს

4/4-4/81

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბალათურიას ქეთევან პორფილეს ასულს—ზუგდიდის მე-3 სკოლის მასწავლებელს

5. ძაძამიძეს ლილი ვალერიანის ასულს—სიღნაღის რაიონის წითელწყაროს ქართული სკოლის მასწავლებელს

6. ახვლედიანს კაპიტონ პეტრეს ძეს—ქუთაისის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

7. ამირანაშვილს შოთა ივანეს ძეს—მცხეთის სკოლის მასწავლებელს

8. ღელეყვას ლუბა მიხეილის ასულს—აჭარის ასსრ ნორჩ-ნატურალისტთა სადგურის მეთოდისტს.

შრომითი პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდიკების სექციიდან

1. ჭიაბრიშვილს შალვა ზაქარიას ძეს—თბილისის მე-18 სკოლის მასწავლებელს

2. შალონიშვილს ეთერ ზაქარიას ასულს—თბილისის 88-ე სკოლის მასწავლებელს

3. ასანიძეს ნოდარ ივანეს ძეს—მცხეთის რაიონის ახალქალაქის სკოლის მასწავლებელს

4. ავალიანს გივი ენვერის ძეს—ჩაქვის რაიონის ხელვაჩაურის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს საწარმოო სწავლების დარგში.

5. ბაქანიძეს ტატიანა სერგოს ასულს—ბათუმის 1-ლი სკოლის მასწავლებელს

6. თანდელოვს კონსტანტინე პავლეს ძეს—ცხინვალის მეორე სკოლის მასაწავლებელს.